სტრატეგიული კომუნიკაცია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ

რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკისთვის

დავით ქუტიძე

მალხაზ რეხვიაშვილი

სტრატეგიული კომუნიკაცია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ

რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკისთვის

დავით ქუტიძე

მალხაზ რეხვიაშვილი

თბილისი

2024

პოლიტიკის დოკუმენტი შექმნილია საქართველოს უნივერსიტეტთან არსებულ დამოუკიდებელ კვლევით ინსტიტუტ Gnomon Wise-ში. ინსტიტუტის პროექტის - „საქართველოს სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევები და მათზე პასუხი“ - ფარგლებში.

პოლიტიკის დოკუმენტის ავტორები:
დავით ქუტიძე - Gnomon Wise-ის მკვლევარი
მალხაზ რეხვიაშვილი - Gnomon Wise-ის აფილირებული მკვლევარი

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებსა და კვლევით ინსტიტუტ Gnomon Wise-ს და შესაძლოა, არ ასახავდეს საქართველოს უნივერსიტეტის პოზიციას.

© კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise
www.gnomonwise.org

სარჩევი

შესავალი 4

თავი I: რუსული ჰიბრიდული საფრთხეები და საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაცია 7

1.1 რუსული ჰიბრიდული საფრთხეები საქართველოს მთავრობის სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტში 7

1.2 მთავრობის სტრატკომი 11

1.3 თავდაცვის სამინისტროს სტრატკომი 14

1.4 საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატკომი 16

1.5 შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატკომი 19

1.6 სტრატეგიული კომუნიკაციების კუთხით არსებული მდგომარეობის შეჯამება 22

თავი II: საერთაშორისო გამოცდილება 26

2.1 გაერთიანებული სამეფოს გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით 27

2.2 ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით 35

2.3 უკრაინის გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით 40

2.4. ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით 46

2.5 ლატვიის გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით 51

2.6 ესტონური გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით 56

2.7 ლიეტუვას გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით 61

2.8 საერთაშორისო გამოცდილების შეჯამება 66

თავი III: რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკისთვის 68

შესავალი

თანამედროვე, ე.წ. ინფორმაციულ ეპოქაში, ახალი ამბების გავრცელების არეალისა და სისწრაფის ზრდასთან ერთად, ინფორმაციული ოპერაციები საომარი მოქმედებების ნაწილიც კი გახდა. მტრულად განწყობილი სახელმწიფოები, ხშირად, ღია საომარი მოქმედებების ნაცვლად, ინფორმაციის საშუალებით მოქალაქეების შეხედულებებზე გავლენის მოხდენას და სხვა სახელმწიფოს საქმეებში ამ ფორმით ინტერვენციას ცდილობენ. ამდენად, 21-ე საუკუნეში სწორ, კოორდინირებულ კომუნიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ბოლო წლების ანგარიშებში[1] აღნიშნულია, რომ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულია დეზინფორმაციული კამპანიები, რომელთა მთავარი მიზანია საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე ზეგავლენა, მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციის შელახვისა და ქვეყნის შიგნით დეზინფორმაციის კოორდინირებული გავრცელების გამოყენებით.

ინფორმაციისა და სწორი კომუნიკაციის მნიშვნელობა განსაკუთრებით ცხადი გახადა კოვიდ 19-ის პანდემიამ. ნათლად გამოჩნდა, რომ ინფორმაცია აღარ არის უბრალოდ ინფორმაცია და სწორმა კომუნიკაციამ, კონკრეტულ შემთხვევებში, შესაძლოა მოქალაქეთა სიცოცხლე გადაარჩინოს. თუ აქამდე დემოკრატიული პროცესების არამართლზომიერ შეფერხებაზე ან, მტრული სახელმწიფოს მხრიდან, საზოგადოების პოლარიზებაზე საუბარი შეგვეძლო, პანდემიამ გამოაჩინა, რომ სწორი კომუნიკაცია პირდაპირ დაკავშირებულია ადამიანების სიცოცხლესთან.

ზემოთ აღწერილი საფრთხეების გათვალისწინებით, დღის წესრიგში დგება კარგად გააზრებული სტრატეგიული კომუნიკაციის საჭიროება და ამ გზით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მავნე, მტრულ საინფორმაციო კამპანიებთან დაკავშირებით.

---

[1] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ანგარიშები. ხელმისაწვდომია: https://ssg.gov.ge/page/info/reports

ზოგადად, სტრატეგიული კომუნიკაციები (შემოკლებით - სტრატკომი), როგორც დისციპლინა, ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია. აკადემიურ ლიტერატურაში მისი დეფინიციაც კი არაერთგვაროვანია[2]. Hallahan et al. (2007) გამოყოფენ სტრატეგიული კომუნიკაციის ფუნდამენტურ ასპექტებს. კერძოდ, ამ პროცესში ნებისმიერი აქტივობა სტრატეგიულია, ანუ არ არის შემთხვევითი ან უნებლიე. ამასთან, ტერმინი „სტრატეგიული" არ უნდა განიმარტოს ვიწროდ, არამედ ის არის კომპლექსური და მრავალმხრივი კონცეფცია. კომუნიკაციის ნაწილში კი ავტორები აღნიშნავენ, რომ იგი უნდა განვიხილოთ, როგორც პროცესის მართვის მთავარი საყრდენი. ამასთან, ავტორთა განმარტებით, სტრატეგიული კომუნიკაცია „გულისხმობს, რომ ადამიანები, ორგანიზაციების სახელით, ერთვებიან გაცნობიერებულ და მიზანდასახულ საკომუნიკაციო ღონისძიებებში, საზოგადოებრივ მოძრაობებსა თუ პროცესებში".[3]

სტრატეგიული კომუნიკაციების პრაქტიკული პერსპექტივა, რომელიც მეტად აქტუალური გახდა რუსული საინფორმაციო ომის გაძლიერების კვალდაკვალ (განსაკუთრებით კი - 2014 წელს, უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული „ჰიბრიდული ომის" შემდეგ), გულისხმობს, რომ სახელმწიფოები მზად უნდა იყვნენ ისეთი გამოწვევებისთვის, როგორებიცაა ინფორმაციის იარაღად გამოყენება, პროპაგანდა და რეალობის დამახინჯება. ამ მიზნისთვის და ზოგადად, სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, სწორი კომუნიკაცია და ამ კომუნიკაციის სტრატეგიული დაგეგმარება ეროვნული ინტერესების განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობაა.

ზემოთ აღწერილი საჭიროებების კვალდაკვალ, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, საქართველოში სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტების ჩამოყალიბება დაიწყო. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ყველა სამინისტროში სტრატეგიული

[2] გორდელაძე, მ. მოლოდინი, გ. (2021). რა არის „სტრატეგიული კომუნიკაციები"? ხელმისაწვდომია: https://doi.org/10.51895/VSS1/Gordeladze

[3] Hallahan, Kirk. Holtzhausen, Derina. van Ruler, Betteke. Verčič, Dejan and Sriramesh, Krishnamurthy. (2007). 'Defining Strategic Communication', International Journal of Strategic Communication, 1: 1, 3 - 35. DOI: 10.1080/15531180701285244

კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქმნა.[4] ამ სამსახურების გაცხადებულ მიზანს სწორედ ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის შემცირება და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდა, აგრეთვე, ქვეყანაში ეფექტიანი, კოორდინირებული და პროაქტიული სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ამდენად, როგორი კომპლექსურიც უნდა იყოს სტრატეგიული კომუნიკაციების თეორიული გაგება, საქართველოს შემთხვევაში, პრაქტიკაში, სტრატკომების შექმნის მიზანი ნათლად გამოიკვეთა.

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტების შექმნიდან რამდენიმე წლის შემდეგ, განსაკუთრებით, რეგიონში მიმდინარე სრულმასშტაბიანი ომისა და რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეების ფონზე, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ როგორ სრულდება მთავრობის სტრატკომების ზემოთ აღწერილი მიზნები. ამავდროულად, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტების როლი კიდევ უფრო იზრდება იმ კონტექსტშიც, რომ ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციებიდან (რომლებიც ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ახლდა თან და რომელთა შესრულებაც ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისთვის მნიშვნელოვანი პირობაა), ერთ-ერთი სწორედ დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური რიტორიკის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან გადასადგმელ ნაბიჯებზე მიუთითებს.[5]

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია საქართველოში სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების ისტორია, მისი სამართლებრივი და სტრუქტურული ჩარჩოები და პრაქტიკაში მათი განხორციელების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები. ამასთან, ჩვენი მიზანია, ვიპოვოთ ის გზები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით არსებული ჩავარდნების მოგვარებაში დაეხმარება. ამისათვის, მოცემულ დოკუმენტში, მიმოვიხილავთ საუკეთესო, მათ შორის, საქართველოს პარტნიორი დასავლური სახელმწიფოების პრაქტიკებს.

[4] საქართველოს მთავრობა. (2018, 2 ნოემბერი). მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქმნება. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tbelRV

[5] Eurepean Comission. Communication From the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committe and the Committe of the Regions. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3TsJRWh

თავი I:

რუსული ჰიბრიდული საფრთხეები და საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაცია

1.1 რუსული ჰიბრიდული საფრთხეები საქართველოს მთავრობის სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტში

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) 2017 წლის ანგარიშის[6] თანახმად, საქართველოში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ძირითადი ამოცანებია: „ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება, საერთაშორისო დონეზე საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის, იმიჯის შელახვა, საზოგადოებაში უნდობლობის, გაურკვევლობის, უიმედობისა და ნიჰილიზმის გაჩენა...“ აქვე აღნიშნულია, რომ ამ მიზნების მისაღწევად, გამოყენებულია პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული მედიაკამპანიები.

მსგავს საფრთხეებზე საუბარია სუს-ის შემდგომი წლების (2018 წელი,[7] 2019 წელი[8]) ანგარიშებშიც, ხოლო 2020[9] და 2021[10] წლების ანალიზისას, ზემოაღნიშნულთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში მოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხებით მანიპულირებაზე, „რომელსაც აქტიურად აწარმოებდნენ ცალკეული სახელმწიფოები და მათი გავლენის ქვეშ მყოფი პირები“.

---

[6] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. 2017 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/48sJ9wf

[7] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. 2018 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2KAvQlR

[8] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. 2019 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3W1pflI

[9] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. 2020 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3W4Oy6h

[10] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. 2021 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZmIWHz

საქართველოს საგარეო კურსისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების წინააღმდეგ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გამოყენების შესახებ, ხაზგასმულია სუს-ის 2022 წლის ანგარიშშიც.[11] ამასთან, ნათქვამია, რომ რეგიონში მიმდინარე ფართომასშტაბიანი ომის ფონზე, დეზინფორმაციის კამპანიები უფრო გახშირდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წლიური ანგარიშებიდან ჩანს, რომ სახელმწიფო მნიშვნელოვან გამოწვევად აღიარებს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე ზეგავლენის მიზნით წარმოებულ პროპაგანდისტულ და დეზინფორმაციულ კამპანიებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ სუს-ი ერიდება იმ ქვეყნის პირდაპირ დასახელებას, რომელიც აღნიშნული კამპანიების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

სუს-ისგან განსხვავებით, რუსეთიდან წამოსულ ჰიბრიდულ საფრთხეებზე პირდაპირ მიუთითებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2021-2024 წლების საკომუნიკაციო სტრატეგია.[12] კერძოდ, აღნიშნულია, რომ „რუსეთის ფედერაცია მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას იყენებს საკუთარი სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის ხელსაყრელი საინფორმაციო გარემოს შესაქმნელად, მათ შორის, ცდილობს, შეასუსტოს საქართველოს მოქალაქეთა მხარდაჭერა NATO-სა და ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ და გააღვივოს საზოგადოების მცირე ნაწილში ამ საკითხისადმი არსებული უთანხმოება...“

საინფორმაციო სივრცეში რუსეთიდან წამოსულ საფრთხეებთან გამკლავების აუცილებლობაზე საუბარია საქართველოს მთავრობის კიბერუსაფრთხოების 2021-2024 წლების ეროვნულ სტრატეგიასა და მის სამოქმედო გეგმაში:[13] „გეოპოლიტიკური მდებარეობა, ქვეყნის პოლიტიკური კურსი და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ სწრაფვა საქართველოს, პირველ რიგში, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ხდის პოლიტიკურად მოტივირებული კიბერშეტევების,

[11] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. 2022 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uxOxzX

[12] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია (2021-2024). ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XSd4bU

[13] საქართველოს მთავრობა. (2021). დადგენილება №482 - საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 - 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0

ინფორმაციული პროპაგანდის, ყალბი ინფორმაციის, კიბერჯაშუშობისა და კიბერტერორიზმის სამიზნედ... ქართული საზოგადოების არჩევანზე, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობის გაძლიერებას, რუსული გავლენისგან გათავისუფლებასა და დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციას ითვალისწინებს, ხდება მიზანმიმართული ზემოქმედება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსის სახეცვლილებისა და ერთგვარად ნეიტრალური საგარეო კურსის გატარების მიზნით".

2023 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა 2024-2027 წლების საკომუნიკაციო სტრატეგია.[14] სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია მოქალაქეთა პროაქტიული ინფორმირება სამთავრობო პოლიტიკის განხორციელების შესახებ და ამ პროცესში სამთავრობო უწყებების კოორდინირებული მოქმედება, განსაკუთრებით, კრიზისული სიტუაციების დროს. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ „საქართველოში დეზინფორმაციული კამპანიების მთავარი მიზანია საზოგადოებრივი მდგრადობის რღვევა, საქართველოს სახელმწიფო უწყებებისა თუ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დისკრედიტაცია". თუმცა, ამ კონტექსტში და ზოგადად, მთლიან სტრატეგიაში, ერთხელაც არ არის ნახსენები, რომ მსგავსი დეზინფორმაციის წყარო, პირველ რიგში, რუსეთია. ასევე, არაა ნახსენები, თუ როგორი იქნება სამთავრობო კომუნიკაცია დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებთან და იქ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებით. დეზინფორმაციასთან ბრძოლის ძირითად ასპექტებად მთავრობა ასახელებს, ერთი მხრივ, დეზინფორმაციის მხილებასა და ფაქტებზე დაფუძნებული, მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელებას და, მეორე მხრივ, აქტიურ მუშაობას მედიაწიგნიერების მიმართულებით.[15]

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღწერილ საფრთხეებთან გამკლავებისთვის, უკვე არსებობს საბაზისო პრაქტიკული ჩარჩოც. ამ მხრივ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოაგდენდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების

[14] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. (დეკემბერი, 2023). საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგია 2024-2027 წწ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Uwi1bZ

[15] კრიტიკული აზროვნება, ინფორმაციის წარმომავლობისა და მისი მიზნის კვლევა-ანალიზის უნარი.

სტრუქტურული ერთეულები შეიქმნა.[16] ამ სამსახურების გაცხადებულ მიზანს ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის შემცირება და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდა, აგრეთვე, ქვეყანაში ეფექტიანი, კოორდინირებული და პროაქტიული სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ასევე, 2018 წელს კომუნიკაციების კომისიას დაემატა ქვეყანაში მედიაწიგნიერების განმავითარებლის ფუნქციაც და კომისიაში შესაბამისი დეპარტამენტიც შეიქმნა.[17]

ზემოთ განხილული სხვადასხვა სახელმწიფო უწყების სტრატეგიიდან თუ ანგარიშიდან ჩანს, რომ ხელისუფლება ნათლად ხედავდა და ხედავს იმ საფრთხეებს, რომლებსაც თანამედროვე ეპოქაში დეზინფორმაცია და პროპაგანდა უქმნის საქართველოს პროდასავლურ მისწრაფებებს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა (განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში, რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ) ერიდება ანტიდასავლური პროპაგანდის მთავარი წყაროს - რუსეთის ფედერაციის - პირდაპირ დასახელებას, მის სხვადასხვა უწყებას მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული აქვს ხედვა დეზინფორმაციასთან გასამკლავებლად. თუმცა ერთია, რა წერია სტრატეგიულ დოკუმენტებში და მეორე - რა კეთდება პრაქტიკაში. ამის შესაფასებლად, გავაანალიზეთ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, კერძოდ, შევისწავლეთ მთავრობის ადმინისტრაციისა და სამინისტროების სტრატეგიული დეპარტამენტების Facebook-ის გვერდები. ისინი შეირჩა ორი მიზეზის გამო: მთავრობის სტრატკომები აქტიურად წარმოდგენილია სწორედ Facebook-ში და ამ გზით ცდილობს საზოგადოებასთან კომუნიკაციას; ასევე, უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემებით, Facebook-ი საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური პლატფორმაა.[18] სტრატკომების ონლაინ კომუნიკაციის მონიტორინგის

[16] საქართველოს მთავრობა. (2018, 2 ნოემბერი). მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქმნება. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tbelRV

[17] კომუნიკაციების კომისია. (2018, 11 ოქტომბერი). „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის პირველი მარტის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XGJPZM

[18] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC) - საქართველო. (2021). საზოგადოების განწყობა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wnSEvV

გარდა, იმ სამინისტროებს, რომელთაც სტრატკომის დეპარტამენტები აქვთ, მივმართეთ შესაბამისი კითხვებით, რათა უშუალოდ მათგან მიგვეღო ინფორმაცია, თუ რა აქტივობებს ახორციელებენ ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ.

1.2 მთავრობის სტრატკომი

საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია დოკუმენტი მთავრობის სტრატკომის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ.[19] ამ დოკუმენტის შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობის სტრატკომი თავის მთავარ ფუნქციად მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის აქტივობების წარმოჩენას, მათ იმიჯზე ზრუნვას, ე.წ. პიარს მიიჩნევს. სტრატკომის ძირითად ამოცანებში არ გვხვდება ანტიდასავლურ პროპაგანდასთან გამკლავების ამოცანა.[20]

რაც შეეხება მთავრობის სტრატკომის აქტიურობას სოციალურ ქსელებში: სტრატკომის ამჟამად მოქმედი Facebook-ის გვერდი 2021 წლის 5 ოქტომბერს შეიქმნა.[21] შექმნის დღიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით, გამოქვეყნებული იყო 85 პოსტი, ხოლო გვერდს დაახლოებით 9 500 გამომწერი ჰყავდა.

აღნიშნულ გვერდზე პირველი პოსტი 2021 წლის 6 ოქტომბერს გამოქვეყნდა - ეს იყო იმ დროს მოქმედი პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის, წერილი, რომელიც საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლას შეეხებოდა. წერილში საუბარია ჩამოსვლის მიზეზებზე და აღნიშნულია, რომ ყოფილი პრეზიდენტი ხელისუფლების გადატრიალების იმედით დაბრუნდა. ამის შემდგომ, რამდენიმე პოსტი მიეძღვნა დეზინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, 2021 წლის 10 ოქტომბრის პოსტში მოკლედაა განმარტებული დეზინფორმაციის, მისინფორმაციისა და მალინფორმაციის არსი. მთავრობის სტრატკომის 13 ოქტომბრის პოსტში საუბარია იმ მიზნებზე, რომელთა მისაღწევად დეზინფორმაცია ვრცელდება. ხოლო

[19]საქართველოს მთავრობა. სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/46bv2u0

[20]დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, Gnomon Wise-მა მთავრობის ადმინისტრაციას კითხვებით მიმართა იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს მთავრობის სტრატკომი ანტიდასავლური დეზინფორმაციის შემცირებასა და ევროატლანტიკური ორგანიზაციების შესახებ საქართველოს მოქალაქეების სწორად ინფორმირებას. გარდა ამისა, მოვითხოვეთ აღნიშნული დეპარტამენტის წლიური ანგარიშები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუმცა ამ კითხვებზე მთავრობის ადმინისტრაციისგან პასუხი არ მიგვიღია.

[21] მთავრობის სტრატკომის Facebook-ის გვერდი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XN2bIo

ორი დღის შემდეგ, გამოქვეყნებულია რამდენიმე რჩევა, თუ როგორ ამოვიცნოთ დეზინფორმაცია. 2021 წლის 17 ოქტომბერს მთავრობის სტრატკომის გვერდზე გვხვდება ცნობა ინფორმაციული და მედიაწიგნიერების შესახებ. 19 ოქტომბრის პოსტში მოცემულია სტრატეგიული კომუნიკაციების ერთგვარი განმარტება NATO-ს შესაბამისი პრინციპების მიხედვით. 22 ოქტომბერს გამოქვეყნებულ ინფორმაციაში კი საუბარია დემოკრატიულ პროცესზე დეზინფორმაციის მავნე გავლენის შესახებ. აღნიშნული ექვსი პოსტით, მთავრობის სტრატკომის გვერდმა დეზინფორმაციის არსის შესახებ განმარტებები ამოწურა.

მთავრობის სტრატკომის Facebook-ის გვერდის აქტივობებიდან გამოსარჩევია სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია კოვიდ-19-ისა და ვაქცინაციის შესახებ. 2021 წლის 31 ოქტომბერს გამოქვეყნდა პოსტი, რომელიც უარყოფდა რამდენიმე ონლაინ მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ვირუსის პანდემიის გამო, თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა შეიზღუდებოდა. გარდა ამისა, გავრცელდა შემდეგი პოსტები კოვიდ-19 -ის შესახებ: რა არის ევროკავშირის ციფრული კოვიდსერტიფიკატი? წარმატებული ვაქცინაციის მაგალითები ევროპაში; მოწოდება - არ ენდო კოვიდ-19-თან დაკავშირებულ დეზინფორმაციას და ის ოფიციალური წყაროები, რომლებიდანაც საზოგადოებას შესაბამისი ცნობების მიღება შეუძლია; ინფორმაცია ციფრული კოვიდსერტიფიკატების მოქმედების ვადის შესახებ; მითები და რეალობა კოვიდ-19-ის შესახებ; რა არის ვაქცინის ბუსტერდოზა? იმის გათვალისწინებით, რომ კოვიდ-19 -ისა და ვაქცინაციის შესახებ, არაერთი დეზინფორმაცია ვრცელდებოდა, რაც სუს-ის ანგარიშშიც აისახა, მთავრობის სტრატკომის ამ მიმართულებით აქტივობა პოზიტიურად უნდა შეფასდეს. თუმცა რამდენად საკმარისი იყო ამ თემის ირგვლივ გავრცელებული ინფორმაცია, ეს ცალკე საკითხია.

მთავრობის სტრატკომის Facebook-ის გვერდზე დაკვირვებამ გამოკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, ის მნიშვნელოვან რესურსს უთმობს ქართული მედიის, ძირითადად, ხელისუფლებისადმი კრიტიკული ტელევიზიების („TV პირველი“, „მთავარი არხი“, „ფორმულა“) მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე რეაგირებას. მონიტორინგის პერიოდში 12 ასეთი შემთხვევა გამოვლინდა.

რაც შეეხება მთავრობის სტრატკომის Facebook-ის გვერდის სხვა აქტივობებს, 2022 წლის თებერვალში გავრცელდა ირაკლი ღარიბაშვილის სოლიდარობის

გამომხატველი განცხადება უკრაინის მიმართ და რუსეთის მიერ დონეცკისა და ლუჰანსკის ოლქების აღიარების დაგმობა. აღსანიშნავია, რომ, თებერვლის შემდგომ, ამ გვერდზე უკრაინის მხარდამჭერი განცხადებები აღარ გავრცელებულა, არც მაშინ, როცა რუსეთმა, სრულიად უკანონო და ყალბი რეფერენდუმის საფუძველზე, უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიები თავისად გამოაცხადა.

2022 წლის 22 თებერვალს ამავე გვერდზე გამოქვეყნდა მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის იმჟამინდელი უფროსის, ნინო გიორგობიანის, პოსტი, რომელშიც ის აჯამებს ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობის ერთ წელს და საუბრობს პრემიერის წარმატებებზე. 2023 წლის 20 თებერვალს მთავრობის სტრატკომმა გაავრცელა, დაახლოებით, ცხრაწუთიანი ვიდეორგოლი, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერის პოსტზე მუშაობის ორი წლისთავს მიეძღვნა.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის სტრატკომის Facebook-ის გვერდი, წლების განმავლობაში, ფრაგმენტული აქტივობებით გამოირჩეოდა და პოსტები, ძირითადად, რამდენიმე თვის ინტერვალით ქვეყნდებოდა. 2023 წლის სექტემბრიდან კი ეს ტენდენცია შეიცვალა (წლის ბოლომდე, დაახლოებით, იმდენივე სიახლე გამოქვეყნდა, რამდენიც მანამდე, მთლიანად გვერდის არსებობის ისტორიაში) და უფრო ხშირად შუქდებოდა პრემიერის სხვადასხვა აქტივობა.

როგორც მთავრობის სტრატკომის Facebook-ის გვერდის მონიტორინგი გვიჩვენებს, იგი, ძირითადად, ფოკუსირებულია პრემიერ-მინისტრის ყოველდღიური აქტივობების გაშუქებასა და კრიტიკული ტელეარხების მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფაზე. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, გამოხმაურება ისეთ საკითხებს მოჰყვება, რომლებიც, მეტწილად, პრემიერისა და მთავრობის იმიჯს ეხება. ისეთი საფრთხეები კი, როგორებიცაა რუსული ჰიბრიდული ომი, პროპაგანდა და რუსული წყაროებიდან მომდინარე დეზინფორმაცია, რომლის მიზანიც საქართველოს პროდასავლური კურსის შეცვლაა, მთავრობის სტრატკომის Facebook-ის გვერდის ყურადღების მიღმა რჩება.

მთავრობის სტრატკომის საქმიანობაზე საუბრისას, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ სოციალური ქსელების პლატფორმა Meta-მ, 2023 წლის მაისში, გამოაქვეყნა საფრთხეების კვარტალური ანგარიში, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოში

მათ წაშალეს 80 Facebook-ის პროფილი, 26 გვერდი, ცხრა ჯგუფი და ორი ანგარიში Instagram-ზე, რომლებიც არღვევდა კომპანიის პოლიტიკას კოორდინირებული არაავთენტური ქცევის წინააღმდეგ.[22] ეს ქსელი რამდენიმე აპლიკაციის, მათ შორის, Facebook-ის, Instagram-ისა და TikTok-ის მეშვეობით, ორიენტირებული იყო შიდა აუდიტორიაზე და სხვადასხვა კამპანიის ფარგლებში, რეკლამისთვის დახარჯა 33 500 დოლარი. „მიუხედავად იმისა, რომ ამ ოპერაციის უკან მყოფი პირები თავიანთი ვინაობისა და კოორდინაციის დამალვას ცდილობდნენ, ჩვენმა გამოძიებამ აღმოაჩინა [ქსელის] კავშირი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტთან", - ნათქვამია ანგარიშში.[23] Meta-ს ცნობით, აღნიშნული კამპანია 2023 წლის მარტში ე.წ. „უცხოეთის აგენტების შესახებ" კანონპროექტის საწინააღმდეგო აქციების დისკრედიტაციისთვის გამოიყენებოდა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის სტრატკომი არა თუ ვერ ასრულებს თავის ძირითად მოვალეობას, არამედ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თავადვე გააკეთა ის, რის წინააღმდეგ საბრძოლველადაც შეიქმნა.

1.3 თავდაცვის სამინისტროს სტრატკომი

სოციალურ ქსელ Facebook-ში აღნიშნული გვერდი 2020 წლის 5 თებერვალს შეიქმნა.[24] 2024 წლის 31 იანვრის მონაცემებით, შექმნის დღიდან, გვერდზე გამოქვეყნებული იყო 74 პოსტი, ხოლო მისი გამომწერების რაოდენობა 10 ათასს შეადგენდა. გვერდის მიერ გამოქვეყნებულ პირველ პოსტში აღნიშნულია, რომ თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის „ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი დეზინფორმაციასთან და ყალბ ახალ ამბებთან ბრძოლაა".

თავდაცვის სამინისტროს სტრატკომმა დეზინფორმაციის განმარტებას რამდენიმე პოსტი მიუძღვნა. გვხვდება მოკლე ვიდეოკლიპიც ინფორმაციის გადამოწმების ხერხების შესახებ, ასევე, პროპაგანდის, ჰიბრიდული ომისა და მედიაწიგნიერების განმარტებები - ჯამში, სამი პოსტი.

[22] Meta. Coordinated Inauthentic Behavior. Via link: https://about.fb.com/news/tag/coordinated-inauthentic-behavior/

[23] Meta. (May, 2023). Quarterly Adversarial Threat Report. Via link: https://about.fb.com/wp-content/uploads/2023/06/Meta-Quarterly-Adversarial-Threat-Report-Q1-2023.pdf

[24] თავდაცვის სამინისტროს სტრატკომის Facebook-ის გვერდი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3H1q0pj

რაც შეეხება სხვა ტენდენციებს, აქაც, ისევე, როგორც მთავრობის სტრატკომის შემთხვევაში, გამოიკვეთა კონკრეტულ ტელევიზიებზე გამოხმაურებისა და მათი დეზინფორმაციის გამავრცელებლად მოხსენიების ფაქტები. როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი პოსტების უმრავლესობა ეხება ხელისუფლებისადმი კრიტიკულ ტელეარხებს - „TV პირველს," „მთავარ არხს" და „ფორმულას". გვერდზე სულ გამოქვეყნებული 74 პოსტიდან, მსგავსი შინაარსის იყო 30, საიდანაც 16 „TV პირველის" ინფორმაციას ეხმაურებოდა, 10 - „მთავარი არხის," ხოლო 2 - „ფორმულის". გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს სტრატკომი კიდევ 11 შემთხვევაში გამოეხმაურა სხვადასხვა მედიასაშუალებას, თუმცა მათი სახელები არ დაუკონკრეტებია. სტრატკომი თითოჯერ გამოეხმაურა ონლაინ მედიასაშუალება „ნიუპოსტისა" და CNews-ის მიერ მომზადებულ მასალას და ექვსჯერ - სოციალურ ქსელში გავრცელებულ სხვადასხვა ინფორმაციას, რომლებიც უშუალოდ თავდაცვის სამინისტროსა და მინისტრს ეხებოდა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ თავდაცვის სამინისტროს სტრატკომი, ძირითადად, მსგავსი ტიპის სიახლეებზე რეაგირებდა.

რაც შეეხება რუსულ წყაროებს, თავდაცვის სამინისტროს სტრატკომმა მათ მიერ გავრცელებულ ცნობებზე ორჯერ ირეაგირა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ეხებოდა რუსული გვერდის (Реалист-realtribune.ru) ცნობას. სამინისტროს განცხადებით, ეს გვერდი „ცდილობს, გააცოცხლოს მრავალჯერ გაქარწყლებული დეზინფორმაციული ნარატივი და ამტკიცებს, თითქოს ახალქალაქში, ყოფილი რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, მიმდინარე სამუშაოები უკავშირდება თურქული სამხედრო ბაზის განლაგებას".

ზემოაღნიშნული ტენდენციების გარდა, თავდაცვის სამინისტროს სტრატკომზე ვრცელდებოდა სხვადასხვა სახის განცხადება, კოვიდ-19-თან დაკავშირებული ცნობები, რამდენიმე სიახლე სამხედრო სფეროდან, სიახლეები თავად სტრატკომის შესახებ და სხვადასხვა დასავლელი ლიდერის რამდენიმე ფრაზა.

როგორც თავდაცვის სამინისტროს სტრატკომის Facebook-ის გვერდის მონიტორიგმა აჩვენა, ის, ძირითადად, რეაგირებს სხვადასხვა მედიასაშუალების, განსაკუთრებით, ხელისუფლების მიმართ კრიტიკული ტელეარხების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე და მოიხსენიებს მათ „ანგაჟირებულებად," დეზინფორმაციული კამპანიისა და „ანტისახელმწიფოებრივი" ინფორმაციის

გამავრცელებლებად, „პარტიულ ტელევიზიებად“ და ა.შ. ეს იმ ფონზე, როცა თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგიაში[25] ხაზგასმულია მედიასთან თანამშრომლობის აუცილებლობა: „თანამედროვე საინფორმაციო გამოწვევებთან გასამკლავებლად, მნიშვნელოვანია ჟურნალისტებთან და აზრის ლიდერებთან სწორი კომუნიკაციის დამყარება და მათთვის სამინისტროს ხედვისა და პერსპექტივის გაზიარება, განსაკუთრებით, საინფორმაციო სივრცეში არსებული გამოწვევების შესახებ“.

სტრატკომის საქმიანობის შესახებ, Gnomon Wise-მა თავდაცვის სამინისტროდან საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა, თუმცა უწყებისგან პასუხი ვერ მიიღო.[26]

1.4 საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატკომი

სოციალურ ქსელ Facebook-ში აღნიშნული გვერდი 2021 წლის 15 ივნისს შეიქმნა.[27] შექმნის დღიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით, გვერდზე გამოქვეყნებული პოსტების რაოდენობა - 76 ხოლო მისი გამომწერების რაოდენობა 1 800 იყო. საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატკომის გვერდის პირველი პოსტი მისი შექმნიდან რამდენიმე თვეში, 2021 წლის 5 სექტემბერს, გამოქვეყნდა. პოსტში აღნიშნულია, რომ „დეზინფორმაცია და Fake News-ი მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებისთვის და საზიანოა როგორც შიდა აუდიტორიისთვის, ისე ქვეყნის საერთაშორისო პოზიციონირებისთვის“.

სტრატკომის გვერდის მომდევნო პოსტი კი „TV პირველის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის (იმის შესახებ, რომ უცხოეთში არსებულ დიპლომატიურ მისიებში არაკვალიფიციური კადრები საქმდებიან) უარყოფას ეხებოდა. საერთო

[25] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია (2021-2024). ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XSd4bU

[26] წერილი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: სამინისტროს სტრატეგიული დეპარტამენტის მიერ საქართველოს NATO-ში ინტეგრაციისა და ალიანსთან თანამშრომლობის შესახებ, საზოგადოების ინფორმირებულობის კუთხით გაწეული სამუშაოსა ან/და კონკრეტული საკომუნიკაციო კამპანიების შესახებ; სტრატკომის მიერ ანტიდასავლური დეზინფორმაციის წინააღმდეგ ჩატარებული სამუშაოებისა ან/და კონკრეტული საკომუნიკაციო კამპანიების შესახებ; ასევე, სამინისტროს სტრატკომის საქმიანობის წლიური ანგარიშები.

[27] საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატკომის Facebook-ის გვერდი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HaeTdC

ჯამში, სტრატკომმა „TV პირველის“ ოთხ სიუჟეტზე ირეაგირა, ხოლო ერთ შემთხვევაში, ტელეკომპანია „ფორმულას“ გამოეხმაურა. ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატკომის Facebook-ის გვერდმა რამდენჯერმე უპასუხა კონკრეტული პერსონების, მათ შორის, პოლიტიკოსების განცხადებებს. სხვადასხვა სიახლესთან ერთად, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატკომი ავრცელებდა მინისტრის განცხადებებს. როგორც მოსალოდნელი იყო, სტრატკომის გვერდმა არაერთი პოსტი თუ ვიდეორგოლი მიუძღვნა საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი წევრი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას.

ზემოაღნიშნულის გარდა, ამ პლატფორმაზე გვხვდება მთავრობის სტრატკომის გვერდიდან გაზიარებული პოსტი, რომელიც დეზინფორმაციის გავრცელების მიზნებს ეხება. ასევე, გამოქვეყნებულია შვიდი ე.წ. ქარდი (პოსტი ფოტოს სახით) - Facebook-ის გზამკვლევის რჩევები ყალბი ამბების ამოცნობის მეთოდებზე. რუსული ჰიბრიდული საფრთხეების შესახებ, საუბარია პოსტებში, რომლებიც NATO-სა და ევროპარლამენტის რეზოლუციებში გაჟღერდა. ამასთან, სხვადასხვა დროს, სტრატკომის გვერდზე გამოქვეყნებულია პოსტები კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერებისთვის სამინისტროში გამართული სემინარების შესახებ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატკომის საჯარო აქტივობებიდან, ხაზგასასმელია რეაგირება სოხუმის დე-ფაქტო რეჟიმის ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის განცხადებაზე, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქართველო ახდენს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების იზოლაციას და ზღუდავს იქ მცხოვრები მოსახლეობის გარე სამყაროსთან კონტაქტს. კიდევ ერთი პოსტი კი ეძღვნება სერბეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ოფისის რეაგირებას სერბეთის ეროვნული ავიახაზების „Air Serbia“-ს ყოველთვიურ ჟურნალ „ELEVATE“ -ში გამოქვეყნებულ მასალაზე. კერძოდ, ჟურნალში დაბეჭდილ მსოფლიო რუკაზე საქართველოს ტერიტორია მოქცეული იყო რუსეთის ფედერაციის საზღვრებში. პოსტის განახლებაში კი აღნიშნულია, რომ სერბეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, ისინი დაუკავშირდნენ „Air Serbia“-ს ოფიციალურ პირებს „უნებლიე შეცდომის“ გამოსასწორებლად.

ბუნებრივია, რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლის კონტექსტში, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატკომის მხრიდან, ზემოთ მოცემული ან მსგავსი

პოსტების გავრცელება მისასალმებელია. თუმცა საკითხავია, რამდენად საკმარისია მსგავსი სახის რეაგირება მაშინ, როცა რუსეთიდან საქართველოს წინააღმდეგ დეზინფორმაცია, ფაქტობრივად, ყოველდღიურ რეჟიმში ვრცელდება.

Gnomon Wise-მა საგარეო საქმეთა სამინისტროსაც მიმართა და გამოითხოვა სტრატკომის საქმიანობის წლიური ანგარიშები, ასევე ინფორმაცია ამ დეპარტამენტის მიერ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების კუთხით გაწეული სამუშაოსა და კონკრეტული საკომუნიკაციო კამპანიების შესახებ, აგრეთვე, სტრატკომის მიერ საქართველოში ანტიდასავლური დეზინფორმაციის წინააღმდეგ ჩატარებული კამპანიების შესახებ.

სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად, „სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების საკომუნიკაციო აქტივობების მხარდასაჭერად და შესაძლებლობების გასაძლიერებლად, ავრცელებს ყოველკვირეულ საინფორმაციო დაიჯესტს, უზრუნველყოფს შესაბამის მედიამონიტორინგს და ა.შ. ამასთან, დეპარტამენტის კოორდინაციით, ხორციელდება სხვადასხვა თემატური საინფორმაციო კამპანია, მაგალითად, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შესახებ, დიასპორის შესახებ და სხვა“.

რაც შეეხება დეზინფორმაციისა და პროპაგანდისტული კამპანიების წინააღმდეგ განხორციელებულ აქტივობებს, სამინისტროს წერილში ნათქვამია, რომ „სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის მიერ, ასევე, ხორციელდება ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებთან დაკავშირებით შესაძლო დეზინფორმაციული გარემოს მონიტორინგი. სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან, დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიმართულებით ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით“.

1.5 შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატკომი

სოციალურ ქსელ Facebook-ში აღნიშნული გვერდი 2020 წლის 3 ივნისს შეიქმნა.[28] შექმნის დღიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით, გვერდზე ხელმისაწვდომი იყო 142 პოსტი, ხოლო მისი გამომწერთა რაოდენობა 11 ათასს შეადგენდა. შსს-ს სტრატკომის პირველი პოსტი 2020 წლის 5 ივნისით თარიღდება. მასში აღნიშნულია, რომ „შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია საზოგადოების ინფორმირების პროცესში ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაციის გამოყენება, ასევე, დეზინფორმაციასა და ყალბ ამბებთან ბრძოლა".

იმავე წლის ივნისში შსს-ს სტრატკომმა გაავრცელა რჩევები და შესაბამისი ვიდეორგოლი იმის შესახებ, თუ როგორ ამოვიცნოთ დეზინფორმაცია. 2020 წლის 20 ივლისს შსს-ს სტრატკომმა გააზიარა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის Facebook-ის პოსტი, რომლის თანახმადაც: „დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიზნით, ევროკავშირის მიერ შექმნილი სპეციალური სამსახურის, East StratCom Task Force-ის მიერ, პანდემიასთან დაკავშირებული ყალბი ამბების გავრცელება იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც ანტიდასავლური, რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი იარაღი, რომლის მიზანი, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებებისა და სახელმწიფოების მიმართ მოსახლეობის უნდობლობის გამოწვევა და მათში დაუცველობის განცდის დათესვა წარმოადგენდა". 2020 წლის 30 ივლისს შსს-ს სტრატკომმა გაავრცელა ე.წ. ქარდი დეზინფორმაციის ტიპების შესახებ. 2020 წლის 3 აგვისტოს შსს-ს სტრატკომმა მომხმარებელს გააცნო ევროკავშირის აქტივობები რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული დეზინფორმაციული კამპანიების წინააღმდეგ. პოსტში ნათქვამია, რომ EU vs Disinfo - „ევროკავშირი დეზინფორმაციის წინააღმდეგ" - წარმოადგენს ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) აღმოსავლეთის სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალური ჯგუფის (East Stratcom Task Force) საინფორმაციო პროექტს, რომელიც შეიქმნა 2015 წელს, ევროკავშირისა და მისი პარტნიორი ქვეყნების წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული დეზინფორმაციის კამპანიების საპასუხოდ. აღმოსავლეთის სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალური ჯგუფის მიზანია, ევროკავშირის ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, აღ-

[28] შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატკომის Facebook-ის გვერდი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uxTY1P

მოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირის პოლიტიკის ეფექტიანი კომუნიკაცია. ასევე, მედიაგარემოს გაძლიერება და დეზინფორმაციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება“. 2020 წლის 8 სექტემბერს შსს-ს სტრატკომმა, Europol-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოაქვეყნა პოსტი კოვიდ-19-ის შესახებ, დეზინფორმაციის მავნებლობასა და მასთან ბრძოლის გზებზე. მოგვიანებით, იმავე თემატიკას მიეძღვნა ვიდეორგოლიც.

შსს-ს სტრატკომის საინფორმაციო აქტივობებიდან აგრეთვე გამოსარჩევია რამდენიმე ტექსტური და აუდიო-ვიზუალური მასალა ე.წ. ფიშინგისა და მისი პრევენციის შესახებ. აგრეთვე, საინფორმაციო ვიდეორგოლი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ და მოწოდება, რომ მსგავსი ფაქტების აღკვეთის მიზნით, მოქალაქეებმა მიმართონ პოლიციას. ასეთი შინაარსის პოსტების გავრცელება, ცალსახად, პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს. თუმცა უნდა ითქვას, რომ შსს-ს სტრატკომის გვერდზე მსგავსი აქტივობები, 2021 წლის იანვრის შემდეგ, აღარ ფიქსირდება.

მეორე მხრივ, პოსტები, რომლებიც შსს-ს სტრატკომის გვერდზე ხშირად გვხვდება, ხელისუფლებისადმი კრიტიკული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას ეხება. ამასთან, ისინი მოხსენიებულია, როგორც „ფეიკ ნიუსი“. 2020 წლის 3 ივნისიდან 2024 წლის იანვრის ჩათვლით, მსგავსი ტიპის განცხადებებს შსს-ს სტრატკომმა 34 განცხადება მიუძღვნა. ამათგან, 10 „მთავარი არხის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას ეხებოდა, 9 – „TV პირველის“, 3 - „ფორმულის“, ხოლო დანარჩენ 12 შემთხვევაში, უმეტესწილად, კონკრეტული მედიასაშუალებები დასახელებული არ იყო. ამავდროულად, მიუხედავად რუსული დეზინფორმაციის შესახებ რამდენიმე თეორიული პოსტისა, შსს-ს სტრატკომის Facebook-ის გვერდის ფოკუსში, სამი წლის განმავლობაში, არ მოხვედრილა დეზინფორმაციის რაიმე კონკრეტული შემთხვევა, რომელიც რუსული წყაროებიდან მოდიოდა.

შსს-ს სტრატკომის მუშაობის პოზიტიური ასპექტებიდან, შეიძლება გამოვყოთ, მაგალითად, 2020 წლის არჩევნების დღეს კონკრეტული თანამშრომლების შერჩევა, რომლებსაც მედიასთან კომუნიკაცია დაევალათ. მედიის ე.წ. კონტაქტ-პერსონები განისაზღვრნენ როგორც თბილისის, ისე მთელი საქართველოს

მასშტაბით (გარდა რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებული სამაჩაბლოსა და აფხაზეთისა).

რაც შეეხება შსს-ს სტრატკომის Facebook-ის გვერდის სხვა აქტივობებს, ისინი მოიცავდა სხვადასხვა სიახლის გავრცელებას, ინფორმაციას შინაგან საქმეთა მინისტრის ცალკეული საჯარო გამოსვლების შესახებ, ცნობებს სტრატკომის თანამშრომელთა გადამზადების შესახებ, ასევე პოსტებს მნიშვნელოვან საერო თუ რელიგიურ თარიღებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, შსს-ს სტრატკომი პერმანენტულად აზიარებს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე პოლიციის მუშაობის პოპულარიზაციის მიზნით მიმდინარე გადაცემა „პოლიციის ფაილების“ ჩანაწერებს.

Gnomon Wise-მა შინაგან საქმეთა სამინისტროდან სტრატკომის მუშაობის წლიური ანგარიშები გამოითხოვა. მიღებული პასუხის თანახმად, განხორციელებული ღონისძიებების მოძიება კონკრეტულ ბმულზეა შესაძლებელი: https://info.police.ge/page?id=127. ამ გვერდზე მოცემულია ანგარიშები (2017 წლიდან) მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. მათ შორის, ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია, ადამიანის უფლებები - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, სამინისტროს მიერ ინიცირებული და განხორციელებული სხვადასხვა რეფორმა, სკოლის მოსწავლეებში გადაუდებელი დახმარების ნომრის (112) შესახებ ცნობადობის გაზრდა, შსს-ს მართლწესრიგის ოფიცრების საინფორმაციო შეხვედრები სკოლებსა და უნივერსიტეტებში, საინფორმაციო შეხვედრები ნაადრევი ქორწინების შესახებ, ინფორმაციის გავრცელება ე.წ. ფიშინგისა და კიბერდანაშაულების შესახებ და ა.შ.

1.6 სტრატეგიული კომუნიკაციების კუთხით არსებული მდგომარეობის შეჯამება

გარდა წინა ქვეთავებში აღწერილი უწყებებისა, შესაბამისი დეპარტამენტი თავიანთ სტრუქტურაში აქვთ: განათლების სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს. თუმცა მათი სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებს არ გააჩნიათ საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელებში. Gnomon Wise-მა აღნიშნულ სამინისტროებს სტრატკომების საქმიანობაზე საჯარო ინფორმაციის მოწოდების შესახებ თხოვნით მიმართა. თუმცა მათგან პასუხები არ მიგვიღია.[29]

სტრატკომების კუთხით, სამინისტროების კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ თავიანთ ადმინისტრაციულ სტრუქტურაში სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები საერთოდ არ აქვთ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს. ასევე, საკვლევ პერიოდში მიუწვდომელი იყო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი.

საბოლოო ჯამში, საქართველოს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტების დაფუძნება, მათი დებულებები თუ მიდგომები, არ არის შორს დასავლური პრაქტიკისაგან, რომელსაც მომდევნო თავში მიმოვიხილავთ. თუმცა, რაც შეეხება მათ პრაქტიკულ განხორციელებას, აქ მდგომარეობა განსხვავებულია. როგორც სხვადასხვა უწყების სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის მუშაობის აღწერამ აჩვენა, ისინი, ძირითადად, გამოყენებულია კონკრეტული თანამდებობის

[29] განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან პასუხი დაახლოებით ექვსი თვის დაგვიანებით, 2023 წლის 25 დეკემბერს მივიღეთ. მასში აღნიშნულია, რომ „სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, მოქალაქეების, სხვადასხვა არასამთავრობო თუ სხვა დაინტერესებული სუბიექტების მხრიდან შემოსულ შეტყობინებებსა და განცხადებებზე რეაგირებას, საინფორმაციო ნაკადების მონიტორინგსა და ანალიზს. შედეგად, დეზინფორმაციის გამოვლენის შემთხვევაში, ახდენს მყისიერ რეაგირებას“.

პირების ე.წ. პიარისა და პარტიული დღის წესრიგის შესაბამისად. ეს კი, თავის მხრივ, საფუძველშივე აცლის მათ საზოგადოების ნდობას. საზოგადოების მხრიდან ნდობის დეფიციტისა და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევებზე საზოგადოების გაერთიანებისთვის გამიზნული, პროაქტიული კომუნიკაციის ნაკლებობის პირობებში, სტრატკომების ეფექტიანობა ეჭვქვეშ დგება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ჩანს კრიზისულ პერიოდებში.

სწორედ ზემოაღნიშნულზე ამახვილებს ყურადღებას მარიამ წიწიკაშვილი - „საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)“ პროექტების მენეჯერი და ფაქტ-მეტრის დეზინფორმაციის პროგრამის რედაქტორი. „[სუსტი ინსტიტუტების პირობებში] მაშინაც კი, როდესაც ვიწრო პოლიტიკური მიზნები არაფერშუაში იყო, სახელმწიფომ ვერაფერი გააკეთა დეზინფორმაციის წინააღმდეგ. პანდემიის დროს, ყველა პასუხისმგებლობა გადატანილი იყო დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრზე (NCDC), რომელსაც ნაკლები რესურსი ჰქონდა სტრატეგიული კომუნიკაციის კუთხით... ვაქცინაციის პროცესის დასაწყისში, განსაკუთრებით, ექთნის ანაფილაქსიური შოკით გარდაცვალების შემდეგ, სახელმწიფო სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა, დაპირისპირებოდა ანტივაქსერულ რიტორიკას და ვაქცინაციის მნიშვნელობაში მოქალაქეები დაერწმუნებინა, რამაც, საბოლოო ჯამში, ვაქცინაციის პროცესი შეაფერხა და მოქალაქეები დაუცველი დატოვა პანდემიის წინაშე“, - ამბობს წიწიკაშვილი.

ამასთან, როგორც სტრატკომების მუშაობის კვლევა აჩვენებს, ვაწყდებით პოლიტიკური ნების ნაკლებობის თუ არარსებობის პრობლემასაც - როცა სახელმწიფო, რეალურად, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას და ხშირ შემთხვევაში, თავადაც ხდება მსგავსი გზავნილების გამავრცელებელი.[30] შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ნების პირობებში, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებს აქვთ საბაზისო ინსტიტუციური თუ სტრუქტურული გამართულობა,

[30] მაგალითად, რიტორიკა, რომელსაც მმართველი გუნდი და მასთან აფილირებული ჯგუფები პერიოდულად ავრცელებენ დასავლეთის მხრიდან საქართველოს ომში ჩართვის (ე.წ. „მეორე ფრონტის“) იძულების თაობაზე. სინამდვილეში, გარდა იმისა, რომ სიმართლესთან შეუსაბამოა, ვიწრო - შიდა პოლიტიკურ პარტიულ მიზნებს - ემსახურება, აზიანებს საქართველოს პოზიციებს საერთაშორისო არენაზე. ეს ზიანი დგება არა მარტო პარტნიორებთან ურთიერთობების გაფუჭების სახით, არამედ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით და სახელმწიფოს პოზიციას ასუსტებს ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში.

რათა დებულებით განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად იმუშაონ. ამდენად, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ სტრატკომების არაეფექტიანი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც სწორედ ერთიანი მიდგომის, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პოლიტიკური ნების უქონლობაა.

პოლიტიკური ნების არარსებობას, პირველ რიგში, აჩვენებს ის, რომ საქართველოს პარლამენტში 2018 წელს შექმნილი მოკვლევის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის შემდეგ, შესაბამისი ნაბიჯები არ გადაიდგა. საქართველოს პარლამენტმა შექმნა სპეციალური ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც, სხვადასხვა პროფესიონალთან თანამშრომლობით, შეისწავლა არსებული გამოწვევები და ნაბიჯები, რომლებიც მათ დასაძლევად უნდა გადაიდგას. თუმცა შემდგომში, პოლიტიკური პოლარიზების გაღრმავებასთან ერთად, მმართველი გუნდი საკითხს აღარ მიბრუნებია. ამას გვიდასტურებს ჩვენი რესპონდენტი მარიამ წიწიკაშვილიც, რომელიც, სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის ფარგლებში, აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი კონტრიბუტორი იყო. აქვე აღსანიშნავია, რომ კოვიდ-19-ის პანდემიისა და რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესიული და არაპროვოცირებული ომის ფონზე, 2018 წლის მოკვლევის ანგარიში უკვე მოძველებულადაც კი შეიძლება ჩაითვალოს და პარლამენტი აღნიშნული დოკუმენტის განახლებაზე უნდა მუშაობდეს.

პოლიტიკური ნების მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს „საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (GCSD)“ დირექტორი მარიამ თოხაძეც: „არსებობს ზედა რგოლის პრობლემები და ქვედა რგოლის პრობლემები. ინსტრუმენტების პოლიტიკური მიზნებით გამოყენება ზედა რგოლის პრობლემაა. ტექნიკურ დონეზე კი, იმისთვის, რომ ინსტრუმენტმა უკეთ იმუშაოს, საჭიროა სისტემაში იმგვარი ადამიანების დასაქმება, რომლებიც სტრატკომს, როგორც საგანს, შეისწავლიან და კომუნიკაციის როლს ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისა და შედეგების დაყენების პროცესში ხედავენ. თუმცა, როგორც უნდა გაზარდო პროფესიონალების რაოდენობა ინსტიტუციაში, ვერაფერს იზამ, თუ ზედა რგოლის პრობლემა არ მოაგვარე“.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სურვილის შემთხვევაში, ქართულ სახელმწიფოს აქვს რესურსი, უკეთ ებრძოლოს მტრულ დეზინფორმაციას. ასევე, სრულიად შესაძლებელია არა მხოლოდ შიდა ბიუროკრატიული, არამედ გარე

რესურსების ათვისებაც. ამ მიმართულებაზე ყურადღებას ამახვილებს GRASS-ის წარმომადგენელი მარიამ წიწიკაშვილიც: „[სამოქალაქო სექტორთან] თანამშრომლობა მნიშვნელოვანია არა იმიტომ, რომ მე ამ სექტორს წარმოვადგენ, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფოს მართლა შეუძლია, კარგად გამოიყენოს ჩვენი რესურსები. კოვიდ-19-ის აქტიური გავრცელების დროს, ჩვენ, პერიოდულად, ერთგვარ საინფორმაციო ბიულეტენს ვუმზადებდით NCDC-ს, ვირუსთან დაკავშირებული ყალბი ამბებისა თუ მითების შესახებ და რამდენჯერმე გამოიყენეს კიდეც ისინი. პრესკონფერენციების დროს, კონკრეტულ დეზინფორმაციულ გზავნილებს უპასუხეს. ეს მართლაც კარგი გამოცდილება იყო, თუმცა სხვა ასეთი გამოცდილება, სახელმწიფოსთან თანამშრომლობის კუთხით, არ გვქონია“.

თავი II:

საერთაშორისო გამოცდილება

„რადგან ომი ადამიანის თავში იწყება, მშვიდობის დასაცავი ზღუდეებიც თავში უნდა აშენდეს“ - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) კონსტიტუციის ამ პრეამბულით იწყებს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) საკუთარი სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის აღწერას. მართლაც, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის მიმოცვლის შესაძლებლობების ზრდამ, ფაქტობრივად, საინფორმაციო ველზე ფიზიკური საზღვრები გააქრო და უცხო ძალის მხრიდან, საინფორმაციო ოპერაციების ჩატარება გააადვილა. სწორედ ამ გამოწვევის საპასუხოდ, 2014 წლის იანვარში, ნატოში სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი ამოქმედდა, ხოლო ამავე წლის ივლისში გაერთიანებულ სამეფოს, ესტონეთს, გერმანიას, ლატვიას, ლიეტუვას, პოლონეთსა და იტალიას შორის მემორანდუმი გაფორმდა.[31]

სტრატეგიული კომუნიკაციები, თავის მხრივ, კომუნიკაციების ყველა მცდელობის საერთო სტრატეგიული მიზნისკენ მიმართვას გულისხმობს. NATO-ს განმარტებით, ეს არის საჯარო დიპლომატიისა და საჯარო კომუნიკაციის, სამხედრო საკითხებზე საზოგადოებასთან ურთიერთობის, საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია, პოზიტიური გავლენა იქონიოს ნატოს მისიების წარმატებით განხორციელებაზე, დაამყაროს ახლო და მდგრადი კავშირი NATO-ს წევრ ერებს შორის, გაზარდოს საზოგადოების ცნობიერება და საზოგადოებაში NATO-ს მისიის მხარდაჭერა.[32]

ბუნებრივია, ეს არ იყო სახელმწიფოთა თუ NATO-ს მიერ საინფორმაციო ოპერაციებისაგან თავდასაცავად გადადგმული პირველი ნაბიჯი და ამგვარი

[31] NATO Strategic Communications Centre of Excellence. Via link: https://stratcomcoe.org/about_us/about-nato-stratcom-coe/5

[32] NATO. About Strategic Communications. Via link: https://stratcomcoe.org/about_us/about-strategic-communications/1

კონტრპროპაგანდისტული ნაბიჯები, განსაკუთრებით, „ცივი ომის“ პერიოდში, დასავლურ ბლოკში შემავალ ქვეყნებს არაერთხელ გადაუდგამთ, თუმცა სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრებისა თუ დეპარტამენტების შექმნით, იმ მცდელობების სტრუქტურირება და თავმოყრა ხდება, რომლებიც შესაძლოა მანამდე გაფანტული ყოფილიყო სხვადასხვა უწყების მოვალეობებში.

საქართველო ანალოგიური გამოწვევების წინაშე დგას და, ბუნებრივია, ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად, დასავლეთში დაგროვებული გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება/დანერგვა საქართველოს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტების გამართული მუშაობის ერთ-ერთ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. მომდევნო თავში მიმოვიხილავთ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მიერ სწორედ მოცემული მიმართულებით წარმოებულ საუკეთესო პრაქტიკას.

2.1 გაერთიანებული სამეფოს გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით

თითქმის ორი ათეული წელია, რაც გაერთიანებულ სამეფოში სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულების გაძლიერება დისკუსიის საგნად იქცა. 2010 წლის ოქტომბერში ბრიტანეთის მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა სტრატეგიული თავდაცვისა და უსაფრთხოების ანგარიში, რომლის მიხედვითაც, გასატარებელი რეფორმების სიაში სწორედ სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯები გაიწერა. დოკუმენტში მთავრობამ გასცა დაპირება, შეემუშავებინა ეროვნული უსაფრთხოების კომუნიკაციების სტრატეგია, საფრთხის შემცველი ინდივიდების, ჯგუფებისა და სახელმწიფოების უარყოფითი გავლენის გასანეიტრალებლად და გაერთიანებული სამეფოს უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.[33]

მოგვიანებით, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს წარედგინა რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც სტრატეგიული კომუნიკაციების, როგორც კომპლექსური სფეროს, მოწესრიგებას ისახავდა მიზნად. საბოლოო ჯამში, დაიწყო

[33] NPrime Minister of the UK by Command of Her Majesty. Securing Britain in an Age of Uncertainty: The Strategic Defence and Security Review. October 2010. ხელმისაწვდომია: https://assets.publishing.service.gov.uk/media/5a78da21ed915d0422065d95/strategic-defence-security-review.pdf

ერთიანი დოქტრინის შემუშავება, რომელშიც თითოეულ უწყებას მათი ფუნქცია-მოვალეობები განესაზღვრებოდა.[34]

გაერთიანებული სამეფო ხაზს უსვამდა, რომ სხვადასხვა სახელმწიფო ეროვნული ძალის ინსტრუმენტებად ოთხ ინსტრუმენტს მოიაზრებდა: სამხედრო, დიპლომატიური, საინფორმაციო და ეკონომიკური, ხოლო სამეფო - მათგან მხოლოდ სამს: სამხედრო, დიპლომატიური და ეკონომიკური, ვინაიდან ის საინფორმაციო ძალას, ამ სამიდან, თითოეულის შემადგენელ ნაწილად (enabler) მიიჩნევდა.[35]

ამასთან, გაერთიანებულმა სამეფომ დაიწყო სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული მოწესრიგება, რაც მოიცავდა როგორც უწყებათაშორის კოორდინაციას, ისე კოორდინაციას ქვეყანაში მოქმედ სხვა არასახელისუფლებო აქტორებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თუ ორგანიზაციებთან. ასევე, შეიქმნა სტრატეგიული კომუნიკაციების სამუშაო და წარმმართავი ჯგუფები, განისაზღვრა კრიზისებზე რეაგირების მოდელი.

თავის მხრივ, სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინირების ფუნქცია მთავრობის კომუნიკაციების ცენტრის მოვალეობაც გახდა. საბოლოო ჯამში, სხვადასხვა უწყება ანგარიშვალდებული ხდებოდა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და პრემიერის წინაშე, ხოლო თავდაცვის სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე კოორდინირებდა NATO-სთან, სადაც, როგორც ამავე დოკუმენტში უკვე აღვნიშნეთ, პარალელურად იქმნებოდა სტრატეგიული კომუნიკაციების NATO-ს დეპარტამენტი.

გაერთიანებულ სამეფოში სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულება სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით ვითარდებოდა. გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკისა და კვლევების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, პარალელურად, კვლევითი თუ არასამთავრობო ორგანიზაციები სფეროს განვითარების რეკომენდაციებზე მუშაობდნენ. შემდგომში, რეკომენდაციების

[34] Ministry of Defence. Strategic Communication: The Defence Contribution. ხელმისაწვდომია: https://assets.publishing.service.gov.uk/media/5a7578dce5274a1242c9e94e/20120126jdn112_Strategic_CommsU.pdf

[35] იქვე: გვ.11

დიდი ნაწილი, სახელმწიფომ მხედველობაში მიიღო და პრაქტიკაში დანერგა. ამასთან, სამოქალაქო სექტორი სახელმწიფოს მიერ გაცემული დაპირებების შესრულებას ამონიტორინგებდა.

სამოქალაქო სექტორის მხრიდან, 2011 წელს ჩეთჰემ ჰაუსმა (Chatham House) გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის გასამართავად საჭირო რეკომენდაციებს მოიცავდა. რეკომენდაციები სამ ძირითად მიმართულებად დაიყო: სტრატეგიული კომუნიკაციების დეფინიცია და მათი ადგილი ეროვნულ სტრატეგიაში, მთავრობაში სტრატეგიული კომუ-ნიკაციების მართვის რეფორმა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების, განსაკუთრებით, კიბერსივრცეში სიახლეების, გათვალისწინება.[36]

თითოეულ ამ მიმართულებაზე, ანგარიშის ავტორების აზრით, რამდენიმე ნაბი-ჯი იყო გადასადგმელი, თუმცა მთავარი სულისკვეთება შესაძლოა სამ ძირითად აზრში გამოიკვეთოს.

1. სტრატეგიული კომუნიკაციები არ არის მხოლოდ ნარატივის გავრცელება და მას აუცილებლად უნდა ახლდეს თან კონკრეტული ნაბიჯები და ეს ნაბიჯები თანხვედრილი იყოს კომუნიკაციის შინაარსთან;

2. მთავრობა უნდა გრძნობდეს ანგარიშვალდებულებას, კრიზისულ სი-ტუაციებში ქმნიდეს საკოორდინაციო საბჭოებს და საუბრობდეს დაინ-ტერესებულ მხარეებთან - სტრატეგიული კომუნიკაციები არ არის მდინარე, რომელიც ერთი მიმართულებით მიედინება და დანარჩენმა მონაწილე აქტორებმა ის კითხვის ნიშნის გარეშე უნდა მიიღონ და დაემორჩილონ. მთავრობა უნდა აღიარებდეს თავის მიღმა არსებული სტრუქტურების (ფიზიკური თუ იურიდიული პირების) შესაძლებლობას, ხშირად უკეთ აწარმოოს სტრატეგიული კომუნიკაციები ლოკალურ თუ სხვადასხვა ინტერესჯგუფის დონეზე;

3. ტექნოლოგიები ვითარდება, გამოწვევები იცვლება, კიბერსივრცის გა-ფართოებამ გაზარდა როგორც ინფორმაციის მიტანის, ისე უკურეაქციის შესაძლებლობები და შესაბამისად, საჭიროა სხვადასხვა მიმართულების,

[36] Chatham house. "Strategic Communications and National Strategy." 2011. ხელმისაწვდომია: https://www.chathamhouse.org/sites/default/files/r0911es%E2%80%93stratcomms.pdf

მათ შორის, სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის მხარდაჭერა, რათა სწრაფად ცვალებად გარემოში, სახელმწიფოს მიდგომა და სტრატეგიული კომუნიკაცია უფრო ჰოლისტური იყოს.[37]

გაერთიანებული სამეფოს მაგალითი საინტერესოა კიდევ ერთი მიზეზით. როგორც აღვნიშნეთ, სტრატეგიული კომუნიკაციების მიზანი ორია: დაიცვას სახელმწიფო საგარეო საინფორმაციო ოპერაციებისგან და დაეხმაროს სახელმწიფოს საკუთარი სტრატეგიული ამოცანების შესრულებაში. ბოლო პერიოდმა აჩვენა, რომ საგარეო ჩარევისა და უცხო სახელმწიფოს საინფორმაციო ოპერაციების ძირითადი სამიზნე არჩევნებია ხოლმე. გაერთიანებულ სამეფოში, ბოლო ათი წლის განმავლობაში, ორი მნიშვნელოვანი რეფერენდუმი ჩატარდა და ორივეში ჩარევა სამეფოს მოწინააღმდეგეების სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა.

გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს 2020 წელს 50-გვერდიანი დოკუმენტი წარედგინა. ანგარიში მოამზადა დაზვერვისა და უსაფრთხოების კომიტეტმა და ის ჯერ პრემიერს გაეგზავნა, ხოლო შემდეგ რედაქტირდა და ისე გასაჯაროვდა, რათა პოტენციურად დამაზიანებელი საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნება თავიდან აეცილებინათ. ანგარიშის მიხედვით, გაერთიანებული სამეფო, როგორც დასავლეთში ანტირუსული ლობის ცენტრალური ფიგურა, აშშ-ის მთავარი მოკავშირე, აშშ-ისა და NATO-ს შემდგომ, რუსული ოპერაციების მთავარი სამიზნეა. ანგარიშის გამოქვეყნებას წინ უსწრებდა სოლსბერიში მომხდარი თავდასხმა,[38] რომელიც რუსეთის მიერ იყო ორგანიზებული და რომელსაც გაერთიანებულმა სამეფომ მყისიერად და მკაცრად უპასუხა - გააძევა დიპლომატის საფარქვეშ მომუშავე დაზვერვის ოფიცრები. ამის შემდეგ, რუსი დაზვერვის ოფიცრების გაძევებამ კამპანიური ხასიათი მიიღო. ჯამში, NATO-ს 29 ქვეყნიდან, 153 რუსი ოფიცერი გააძევეს და, როგორც ანგარიში აღნიშნავს, რუსეთმა გაერთიანებული სამეფო საერთაშორისო არენაზე საკვანძო მოწინააღმდეგედ მიიჩნია.[39]

ამასთან, უფრო ადრე გამოქვეყნებულ დოკუმენტში, გაერთიანებული სამეფოს

[37] იქვე. გვ: X-XI

[38] 2018 წელს სოლსბერიში, გაერთიანებულ სამეფოში, ყოფილი რუსი ჯაშუში სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი მოწამლული იპოვეს. იხ. ბმული: https://www.bbc.com/news/uk-43315636

[39] Intelligence and Security Committee of Parliament. "Russia". 2020. ხელმისაწვდომია: https://isc.independent.gov.uk/wp-content/uploads/2021/03/CCS207_CCS0221966010-001_Russia-Report-v02-Web_Accessible.pdf

დაზვერვისა და უსაფრთხოების კომიტეტმა მიუთითა გამოწვევაზე, რომელიც აღწერა სიტყვებით „ცხელი კარტოფილი“ (hot potato). კომიტეტი აღნიშნავდა, რომ რუსული გავლენა გაერთიანებულ სამეფოში მზარდია, რასაც გზას უხსნის მთავრობების მიდგომა, შეიფაროს რუსი ოლიგარქები. „ცხელი კარტოფილით“ აღწერილია ვითარება, როცა არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც სათავეში ჩაუდგება დემოკრატიის დაცვის ნაბიჯების ორგანიზებას, რუსული საფრთხის შეფასებასა და მათზე რეაგირებას.[40]

პრესრელიზის მიხედვით, მთავარი, რაც გაერთიანებულმა სამეფომ უნდა გააკეთოს, არის ის, რომ გააძლიეროს კომუნიკაცია მოკავშირეებთან, რადგან, როგორც სოლსბერის ინციდენტზე მოკავშირეთა რეაგირებამ აჩვენა, სწორი კომუნიკაციით, „გაერთიანებულ სამეფოს შეუძლია გაუძღვეს საერთაშორისო რეაგირებას“ რუსეთის აგრესიული ქმედებების წინააღმდეგ.[41]

გაერთიანებული სამეფოს მთავრობის კომუნიკაციების სტრატეგია 2022-2025

2022-2025 წლებში კომუნიკაციების სტრატეგია მთავრობამ სამ სვეტზე დააფუძნა: თანამშრომლობა; ინოვაცია და განვითარება; „დიდებული ხალხი“.[42]
რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სტრატეგიულ დოკუმენტში საუბარია არა მხოლოდ ზოგად ხედვებზე, არამედ კონკრეტულ ნაბიჯებზე, რომელთა გადადგმის ვალდებულება მთავრობამ აიღო და საკუთარ თავს, დაპირებების შესასრულებლად, კონკრეტული ვადები განუსაზღვრა.

[40] Intelligence and Security Committee Press Notice. “Russia Report”. 2021. ხელმისაწვდომია: https://isc.independent.gov.uk/wp-content/uploads/2021/01/20200721_Russia_Press_Notice.pdf
შენიშვნა: პრესრელიზი წინ უსწრებდა პარლამენტში გამოქვეყნებულ ვრცელ ანგარიშს და მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას ძირითადი მიგნებების შესახებ.

[41] იქვე. გვ: 3

[42] HM government of the UK. “Preformance with Purpose – Government Communication Service Strategy”. 2022. ხელმისაწვდომია: https://strategy.gcs.civilservice.gov.uk/wp-content/uploads/2022/05/gcs-strategy-2022-25.pdf
შენიშვნა - „დიდებული ხალხი“ გულისხმობს სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით მომუშავე ოფიციალური პირებისა და საჯარო მოხელეების მაღალ კვალიფიკაციას.

თანამშრომლობა

გაერთიანებული სამეფოს კომუნიკაციების სტრატეგიის აღნიშნული სვეტი მოიცავს 4 ძირითად ასპექტს:

1. უფრო ძლიერი კომუნიკაცია მთავრობის წევრებს შორის;
2. მთავრობის კომუნიკაციების სტრატეგიის (GCS) ახალი ოპერაციული მოდელის შემუშავება;
3. მართვის მოდელის გაუმჯობესება;
4. კრიზისების დაგეგმვისა და მართვის პროცესის გაუმჯობესება.

დოკუმენტში თითოეული ეს მიმართულება ჩაშლილია შემადგენელ ნაბიჯებად და განსაზღვრულია 2025 წლამდე გადასადგმელი ნაბიჯები. გარდა დაპირებებისა, რომლებიც დემოკრატიულ და ანგარიშვალდებულების პრინციპზე დაფუძნებულ გამჭვირვალობასა და უკეთეს მმართველობით მოდელს ეხება, მთავრობა იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

- დაგეგმვის ციკლის შემუშავება, რაც დაინტერესებულ მხარეს საშუალებას მისცემს, ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა, რა არის მოსალოდნელი მომავალი წლის განმავლობაში;
- მმართველობაში ჩართული საბჭოების გაუმჯობესება. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული კომუნიკაციების მართვაში თავიანთი ფუნქციებით იმუშავებენ მინისტრთა საბჭო, გარე მრჩეველთა საბჭო, კომუნიკაციების დირექტორები, GCS ხალხის საბჭო, GCS სტრატეგიული პროგრამების საბჭო.
- კრიზისული კომუნიკაციების გეგმის გაუმჯობესება, შესაბამისი სახელმძღვანელოს შემუშავება და სხვადასხვა სცენარის პირობებში, კომუნიკაციების სტრატეგიის წინასწარი განსაზღვრა. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, პანდემიამ და უკრაინის ომმა აჩვენა, რომ გაერთიანებულ სამეფოს შეუძლია სწორი რეაგირება წინასწარ დაუგეგმავ მასშტაბურ

გამოწვევებზე, რაც სტრუქტურებულ მიდგომას საჭიროებს, რათა შემდეგ, მიღებული გამოცდილება ეფექტიანად გამოიყენოს.

მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიული კომუნიკაციები გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ დაინახა, ერთი მხრივ, როგორც საერთო სამთავრობო საქმე, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყო მისი მოქმედების პროცესში, გარე მრჩეველთა საბჭოს საშუალებით, ოფიციალური პირებისა და საჯარო მოხელეების ან/და მათთან ანგარიშვალდებული პირების გარდა, სხვა - მესამე პირების - მონაწილეობაც, რითაც პროცესის გაჯანსაღებას შეუწყო ხელი.[43]

განახლება და გაუმჯობესება

მოცემულ მიმართულებაში მთავრობა ყურადღებას ამახვილებს ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებაზე და ამ განვითარების შედეგად დამდგარ ახალ გამოწვევებზე. მათი გათვალისწინებით, კომუნიკაციების სტრატეგიის განახლებისა და გაუმჯობესების სვეტს აფუძნებს ოთხ ძირითად სფეროზე:

1. ციფრული განვითარება - მთავრობა გააძლიერებს მაუწყებლობისა და ციფრული კონტენტის წარმოების შესაძლებლობებს;

2. ტექნოლოგიების გამოყენება გავლენის ზრდის მიზნით - მზარდი პერსონალიზების პირობებში ტექნოლოგიების გამოყენება, კამპანიების ეფექტურობის გაზრდისა და აუდიტორიასთან უკეთესი წვდომის მიზნით;

3. GCS ეფექტიანობის გაუმჯობესება - საკუთარი თავის გამოწვევების წინაშე დაყენება, რათა საჯარო სექტორმა შეძლოს გადასახადის გადამხდელთა რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება, მათ შორის, ბიუროკრატიის შემცირებისა და სერვისების უფრო ეფექტიანი მიწოდების (სადაც შესაძლებელია - კერძო კონტრაქტორის გამოყენებით) გზით;

4. საზოგადოებრივი ნდობა - უმაღლესი ეთიკური სტანდარტების გამოყენებით, საზოგადოებრივი ნდობისა და GCS-ის მიერ ამ ეთიკური სტანდარტების, მათ შორის, თანამედროვე კომუნიკაციების ფორმებში, შენარჩუნება.

[43] იქვე. გვ: 6-10

მოცემული სვეტის ფარგლებშიც, მთავრობამ ვალდებულებები აიღო და ამ ვალდებულებების შესასრულებლად, კონკრეტული თარიღები განსაზღვრა. განსაკუთრებით საყურადღებო, ამ გამოწვევათა შორის, უშუალოდ პრემიერის კაბინეტთან ციფრული კომუნიკაციების ჰაბის შექმნა იყო, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მთლიანად სამთავრობო სტრუქტურების კომუნიკაციების კოორდინირება. ჰაბმა უნდა უზრუნველყოს, რომ, ერთსა და იმავე საკითხზე საუბრისას, სხვადასხვა დეპარტამენტი „ერთი ხმითა და ერთი ტონით" საუბრობდეს.[44]

„დიდებული ხალხი"

მოცემული სვეტი ეფუძნება სტრატეგიულ კომუნიკაციებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისა და საჯარო მოხელეების პროფესიონალიზმის მუდმივი განვითარების პრინციპს. ამ შემთხვევაში, სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრულია ხუთი მიმართულება:

1. პროფესიული სტანდარტებისა და საჯარო მოხელეების პროფესიონალიზმის მუდმივი განვითარება - მიდგომების იმგვარი შემუშავება, რომ სფეროში დასაქმებულმა პროფესიონალებმა შეძლონ სრული პოტენციალის გამოყენება;

2. კომუნიკატორების მოზიდვა - კომუნიკაციების პროფესიონალებისთვის GCS-ის, როგორც სასურველი დასაქმების ადგილის, აღიარება.

3. ლიდერების ხელშეწყობა - დასაქმებული პროფესიონალების წახალისება, მათი ლიდერული უნარების გამოვლენის მიზნით;

4. მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა - ყველა აქტივობაში მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის პრინციპის განხორციელება;

5. სრულიად გაერთიანებული სამეფოს დაფარვა - იმგვარი ამბიციური გეგმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს გაერთიანებული სამეფოს ყველა

[44] იქვე. გვ: 13-14

რეგიონში მოხელეთა წარმატების მიღწევისა და წამყვან თანამდებობებზე დაწინაურების შესაძლებლობას.

ჯამში, კომუნიკაციების სტრატეგიის ფარგლებში, მთავრობამ 30 ვალდებულება იკისრა. ეს ვალდებულებები, დაახლოებით, თანაბრად ეხება სტრატეგიის სამივე სვეტს და 2022-2025 წლებში გადასადგმელი კონკრეტული ნაბიჯების ვადებს მოიცავს.[45]

2.2 ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის სტრატეგიული კომუნიკაციები, დიდი ხნის განმავლობაში, სახელმწიფოს მიზნის განხორციელებისა და ეროვნული ამოცანების გადაჭრის გზას წარმოადგენდა, თუმცა შეიძლება ის განსხვავებული ტერმინით შეგვხვედროდა და სხვადასხვა დოკუმენტში დღემდე გამოიყენებოდეს: საჯარო ურთიერთობები, საზოგადოებასთან ურთიერთობები, საჯარო დიპლომატია და ა.შ. ცალ-ცალკე არც ერთი მათგანი სტრატეგიული კომუნიკაციების სრულ შინაარსს არ მოიცავს.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საჯარო დიპლომატიისა და ურთიერთობების სხვადასხვა სფერომ ერთიან სტრატეგიულ დოკუმენტში თავი მოიყარა 2007 წლის ივნისში, როდესაც აშშ-ში პოლიტიკის კოორდინირების კომიტეტმა საჯარო დიპლომატიისა და სტრატეგიული კომუნიკაციების ეროვნული სტრატეგია მიიღო.[46]

დოკუმენტის მიხედვით, იმისათვის, რომ აშშ-მა საკუთარი ძლიერების, უსაფრთხოებისა და წარმატების უზრუნველყოფა შეძლოს, საჭიროა სახელმწიფომ უერთგულოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებს: ადამიანის ღირსება, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ალიანსების გაძლი-

[45] HM Government. “Government Communication Service Strategy 2022-25. Table of Commitments with delivery timescales”. 2022. ხელმისაწვდომია: https://strategy.gcs.civilservice.gov.uk/table-of-commitments/

[46] Strategic Communication and Public Diplomacy Policy Coordinating Committee (PCC). U.S. National Strategy for Public Diplomacy and Strategic Communication. 2007. ხელმისაწვდომია: https://2001-2009.state.gov/documents/organization/87427.pdf

ერება, რეგიონული კონფლიქტების განმუხტვა, მასობრივი განადგურების იარაღის საფრთხეებთან გამკლავება, გლობალური ეკონომიკური ზრდა, განვითარების წრის გაფართოება, გლობალური ძალის სხვა ცენტრებთან თანამშრომლობა და აშშ-ის ინსტიტუტების ტრანსფორმირება 21-ე საუკუნის გამოწვევების შესაბამისად.[47]

ამ მიზნებიდან გამომდინარე, სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საჯარო დიპლომატიის მიზნებად განსაზღვრულია 4 ძირითადი მიმართულება:

1. ხაზი გაუსვას აშშ-ის ერთგულებას თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და ღირსების და ყველა ადამიანის თანასწორობის შესახებ;
2. დაუკავშირდეს მათ, ვინც ამ იდეალებს იზიარებს;
3. დაეხმაროს მათ, ვინც იბრძვის თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის;
4. შეებრძოლოს მათ, ვინც ავრცელებს ჩაგვრისა და ზიზღის იდეოლოგიებს.[48]

მოცემული დოკუმენტით, ასევე განისაზღვრა კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული ამოცანების გადაჭრის მიზნით, კერძოდ:

- **პოზიტიური ხედვის, იმედისა და შესაძლებლობების გაძლიერება** - პროგრამებისა და პოლიტიკის აშშ-ის ღირებულებებთან დაკავშირება, როგორ ახდენს აშშ-ის დახმარება გავლენას რეალური ადამიანების ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლაზე, რეალური ადამიანების გამოცდილებების გაზიარება და ბოლოს, სტრატეგიულ კომუნიკაციაში აშშ-ის მთავრობის ყველა რგოლის, ამერიკული ბიზნესისა და განათლების სისტემის ჩართულობა. ამ მიზნით შემუშავდა, მაგალითად, „ამერიკის სპეციალური ელჩის“ (Special American Envoy) ინსტიტუტი, ბიზნესისა და ამერიკის რიგითი მოქალაქეების დიპლომატიაში ჩართვის წახალისების კონკრეტული გეგმა.[49]

[47] იქვე. გვ: 2
[48] იქვე. გვ: 2
[49] იქვე. გვ: 13-17

- **ძალადობრივი ექტრემიზმის/ექსტრემისტების იზოლირება** - მოცემულ ნაწილში გადაწყდა ინტერსექტორული ჯგუფის - კონტრტერორიზმის კომუნიკაციების ცენტრის - დაფუძნება, რომელსაც, სახელმწიფო დეპარტამენტის მყისიერი რეაგირების ჯგუფთან ერთად, დაეკისრა პასუხისმგებლობა, შეიმუშაოს და გაავრცელოს აშშ-ის მთავრობის საერთო მესიჯები. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი ფოკუსი გახდა მესიჯების აუდიტორიებზე მორგება კრიტიკული ქვეყნების მიხედვით და ამ პროცესში კონკრეტულ ჯგუფებზე გავლენის მქონე ლიდერების (რელიგიური, სპორტული, ახალგაზრდული და ა.შ.) ჩართვა;

- **საერთო ინტერესებისა და ღირებულებების გამოვლენა და წახალისება** - ამერიკელებსა და ხალხებს მსოფლიოს გარშემო აქვთ საერთო ღირებულებები და ინტერესები, ამ საერთო საკითხების ხაზგასმა აშშ-ის მთავრობის მხრიდან მომდინარე ყველა კომუნიკაციაში.[50]

მოცემულ საკითხებზე დაყრდნობით, დოკუმენტი კონკრეტულ სახელმძღვანელო მესიჯებს სთავაზობს აშშ-ის ხელისუფლების სხვადასხვა რგოლს იმის მიხედვით, თუ ინფორმაციის გავრცელების რომელ საშუალებას მიმართავს ეს ჯგუფი, იქნება ეს სატელევიზიო კომუნიკაცია, ბეჭდური პრესა თუ ინტერნეტი.

ბუნებრივია, ამერიკული გამოცდილება ამ დოკუმენტით არ ამოიწურება და ტექნოლოგიების განვითარებისა და კომუნიკაციების მეთოდების ტრანსფორმაციასთან ერთად, აშშ-ის სტრატეგიული კომუნიკაციებიც გამოწვევების შესაბამისად ტრანსფორმირდა.

მაგალითად, 2011 წელს აშშ-ის ოპერაციების გაერთიანებული დაგეგმვის სახელმძღვანელოში სტრატეგიული კომუნიკაციები უკვე განიმარტა, როგორც აშშ-ის მთავრობის მცდელობა, სამიზნე ჯგუფებში აშშ-ის პოლიტიკის, ინტერესებისა და მიზნების მხარდაჭერის გასაზრდელად, რომელიც იყენებს კოორდინირებულ გეგმას, მესიჯებსა და პროდუქტებს.[51] მის განხორციელებაზე პასუხისმგებლობას იღებს საჯარო დიპლომატიისა და სტრატეგიული კომუნიკაციების პოლიტიკის

[50] იქვე. გვ: 22-24

[51] Joint Chiefs of Staff. Joint Operation Planning. 2011. გვ: 47 ხელმისაწვდომია: https://www.bits.de/NRANEU/others/jp-doctrine/jp5_0%2811%29.pdf

უწყებათაშორისი კომიტეტი (Interagency Policy Committee on Public Diplomacy and Strategic Communication). კომიტეტს ხელმძღვანელობს სახელმწიფო მდივნის მოადგილე საჯარო დიპლომატიისა და სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით. კომიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს აშშ-ის მთავრობის კოორდინირება მოცემულ საკითხზე და სტრატეგიული კომუნიკაციების ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის მომზადება.

ამ დოკუმენტის პარალელურად, სტრატეგიული კომუნიკაციების გეგმა შემუშავდა სხვადასხვა უწყების ფარგლებშიც და ამ უწყებებმა შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება დაიწყეს. მაგალითად, 2012 წელს აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების ოფისმა შეისწავლა თავდაცვის სამდივნოს სტრატეგიული კომუნიკაციების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი.

დოკუმენტი მომზადდა მას შემდეგ, რაც უწყებას სენატორებმა კარლ ლევინმა და ჯონ მაკკეინმა მიმართეს. დოკუმენტის მიხედვით, აშშ-ის თავდაცვის სამდივნოში გააზრებული აქვთ, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებს თავდაცვის სამდივნო, იქნება ეს კონფლიქტის ზონებში ბურთების დარიგება თუ ერთობლივი წვრთნები მოკავშირეთა ტერიტორიებზე, არის მესიჯის გაგზავნა და მნიშვნელოვანია ამ მესიჯის უწყებათაშორისი კოორდინირება, რათა აშშ, საერთაშორისო აუდიტორიასთან კომუნიკაციაში, ახერხებდეს საკუთარი მიზნების განხორციელებასა და პოზიტიური იმიჯის შენარჩუნებას.[52]

თავდაცვის სამდივნომ, კომუნიკაციების სტრატეგიის შემუშავებისას, შემდეგი ნაბიჯები გამოყო:

- აუდიტორიის იდენტიფიცირება და სასურველი აუდიტორიის წინასწარი აღქმები;
- აუდიტორიის სავარაუდო რეაქციის იდენტიფიცირება;
- თავდაცვის სამდივნოს მხრიდან მისაწოდებელ მესიჯსა და სამიზნე

[52] United States Government Accountability Office. DOD Strategic Communication: Integrating Foreign Audience Perceptions into Policy Making, Plans, and Operations. ხელმისაწვდომია: https://www.gao.gov/assets/gao-12-612r.pdf

აუდიტორიის წინასწარ აღქმებს შორის არსებულ სხვაობათა იდენ-ტიფიცირება და გეგმის მომზადება;

- გეგმის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, საჭიროების შემ-თხვევაში - გეგმის ცვლილება.

დუნკან ჰანტერის ეროვნული თავდაცვის აქტის საფუძველზე, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფარგლებში, სტრატეგიული კომუნიკაციების ჩარჩო ბარაკ ობამამაც დაამტკიცა. დოკუმენტში პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სტრატეგიული კომუნიკაციები შემდეგნაირად განმარტა: „ქმედებებისა და სიტყვების სინქრონიზება და დადგენა, როგორ იქნება ისინი აღქმული წინასწარ განსაზღვრული აუდიტორიის მიერ; პროგრამები და აქტივობები, გამიზნული კონკრეტულ აუდიტორიასთან კომუნიკაციისა და ჩართულობისათვის, მათ შო-რის, განხორციელებული საჯარო ურთიერთობების, საჯარო დიპლომატიისა და საინფორმაციო ოპერაციების პროფესიონალების მიერ“.[53]

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს საჯარო დიპლომატიისა და სტრატეგიული კომუნიკაციების უწყებათაშორისი ორგანოსთვის. მასში განსაზღვრულია პრიორიტეტები, აქტივობები და რესურსები, რომლებიც აშშ-ის ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად სტრატეგიული კომუნიკაცი-ის წარმოებისას არის საჭირო და განსაზღვრულია კონკრეტული უწყებების ვალდებულებები. დოკუმენტმა განსაზღვრა ვალდებულებები თავდაცვის სამ-დივნოსთვის, სახელმწიფო მდივნის აპარატისთვისა და აშშ-ის მთავრობის სხვა წარმომადგენლებისთვის. მეტიც, მაგალითად, ამავე დოკუმენტში განისაზღვრა ვალდებულებები USAID-ისა და მაუწყებლობის მმართველთა საბჭოსთვისაც (The Broadcasting Board of Governors - 2018 წლიდან, აშშ-ის გლობალური მედიის სააგენტო), თუმცა აქვე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ BBG-ის ჟურნალისტური პროდუქტი დაცულია პოლიტიკური ჩარევისაგან.[54] ეს განსაკუთრებით საინტერესო სწორედ საქართველოს კონტექსტშია, ვინაიდან აშშ-ის მაგალითი სწორედ იმას აჩვენებს, რომ სახელმწიფოს სტრატეგიული კომუნიკაციები ეროვნულ მიზნებს ემსახურება და თავისუფალი უნდა იყოს პარტიული პოლიტიკის ჩარევისაგან.

[53] President Barack Obama. Interagency Strategy for Public Diplomacy and Strategic Communication. 2009. ხელმისაწვდომია: https://man.fas.org/eprint/pubdip.pdf

[54] იქვე. გვ: 11-12

აშშ-ის დადებითი გამოცდილების ერთ-ერთი ნაწილია მედიასთან კომუნიკაციისას სპიკერის ინსტიტუტის შემოღება. სახელმწიფო დეპარტამენტში არსებობს სპიკერის თანამდებობა.[55] სწორედ სპიკერია პასუხისმგებელი საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე, პასუხობს მედიის შეკითხვებს და აჟღერებს შეერთებული შტატების ოფიციალურ პოზიციას სხვადსხვა საკითხთან დაკავშირებით. სპიკერის ინსტიტუტზე, როგორც დადებით გამოცდილებაზე, ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (GCSD) დირექტორი მარიამ თოხაძეც, რომელიც საზოგადოებასთან კომუნიცირებისას სპიკერის როლზე ამბობს: „სპიკერის ინსტიტუტი ამის მაჩვენებელია, რომ, როცა, მაგალითად, სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერი რაღაცას ამბობს, ეს არის ოფიციალური პოზიცია“.

2.3 უკრაინის გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით

2022 წლის თებერვალში რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი, აგრესიული და არაპროვოცირებული „სამხედრო ოპერაცია“, სინამდვილეში კი, ომი წამოიწყო. ომის პირველი დღეები განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩნდა. გაძლებდა, თუ - არა უკრაინა, როგორც სახელმწიფო და მოქალაქეთა ერთობა? რამდენად მზად იყო სამოქალაქო საზოგადოება დამანგრეველი ომის შედეგებისთვის და თავისუფლების დასაცავად? რამდენად წარმატებული იყო რუსული პროპაგანდა, განსაკუთრებით, რუსულენოვანი მოსახლეობით დომინირებულ რეგიონებში? როგორ იმუშავა რუსეთის მიერ წარმოებულმა საინფორმაციო ოპერაციებმა სენტიმენტების დანერგვის მიმართულებით და დახვდებოდნენ, თუ - არა უკრაინის „რიგითი“ მოქალაქეები რუსულ არმიას ყვავილებით?

რუსეთის შეჭრის გაცხადებული „მიზანი“ ზელენსკის ხელისუფლების შეცვლა, „დემილიტარიზაცია“ და „დენაციფიკაცია“ იყო. თავის მხრივ, ეს რუსეთის მხრიდან წარმოებულ სტრატეგიულ კომუნიკაციაზე მიანიშნებდა - წარმოეჩინა უკრაინაში შეჭრა მცირე სამხედრო ოპერაციად, რომელიც უპირისპირდებოდა კიევის ხელისუფლებას და არა - უკრაინელ ხალხს. შესაბამისად, კინეტიკური ომის წარმოებასა და ფიზიკურ თავდასხმასთან ერთად, უკრაინის წინააღმდეგ მიმ-

[55] მოქმედი სპიკერი მეთიუ მილერი. ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/bureaus-offices/under-secretary-for-public-diplomacy-and-public-affairs/bureau-of-global-public-affairs/office-of-the-spokesperson/

დინარე საინფორმაციო ოპერაციაც, შეიძლება ითქვას, ცხელ ფაზაში გადავიდა. ეს ყველაფერი კი ხდებოდა იმის პარალელურად, რომ დასავლური სახელმწიფოები უკრაინის დედაქალაქის რამდენიმე დღეში დაცემას წინასწარმეტყველებდნენ.[56]

როგორც NATO-ში, ისე უკრაინის სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემაში, სტრატეგიული კომუნიკაციების სფერო მრავალშრიანობას ეყრდნობოდა. უკრაინამ შეძლო მის ხელთ არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება და მოახერხა ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზება.[57]

2021 წელს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკომუნიკაციო სტრატეგია მიიღო, რომელშიც გაწერილი იყო კონკრეტული კოორდინირებული ქმედებები და ეფუძნებოდა საფრთხის ოთხი სხვადასხვა სირთულის სცენარს - რუსული საინფორმაციო ოპერაციებიდან, სრულმასშტაბიან სამხედრო აგრესიამდე. 24 თებერვალს კი აღნიშნული საკომუნიკაციო აქტივობები ყველაზე ცუდი სცენარის შესაბამისად დაიწყო. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ, მზაობის მიუხედავად, ბუნებრივია, ასეთი ტიპის კრიზისისთვის ყველა ნაბიჯის წინასწარ გათვლა შეუძლებელია. შესაბამისად, სტრატეგიულ კომუნიკაციებზე პასუხისმგებელ სტრუქტურებში ქაოსიც შეინიშნებოდა. ამ ვითარებაში კი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ისეთი ამოცანების შესრულებაში, რომელთა გადასაჭრელადაც საგარეო საქმეთა სამინისტროს საკმარისი რესურსი არ გააჩნდა.[58]

ომის პირველ საათებში, ქაოსურ სიტუაციაში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პრეზიდენტ ზელენსკისა და მისი მთავრობის კომუნიკაცია საზოგადოებასთან. მაშინ, როდესაც საუბარი იყო იმაზე, რომ უკრაინის ხელისუფლების პირველმა პირებმა ქვეყანა სრულმასშტაბიანი შეჭრისთანავე დატოვეს, ზელენსკიმ, თავისი ადმინისტრაციის წევრებთან ერთად, კიევის ქუჩებში ჩაწერა ვიდეო, რომელშიც ის საზოგადოების წინაშე ხაკისფერი (ე.წ. სამხედრო ფერი)

[56] CNN. US concerned Kyiv could fall to Russia within days, sources familiar with intel say. ხელმისაწვდომია: https://edition.cnn.com/2022/02/25/politics/kyiv-russia-ukraine-us-intelligence/index.html

[57] Ekman, I & Nilsson, P. (2023). Ukraine's Information Front Strategic Communication during Russia's Full-Scale Invasion of Ukraine. Swedish Defence Research Agency (FOI). Page 9. Via link: https://foi.se/rest-api/report/FOI-R--5451--SE

[58] Ibid. Page 26.

ტანსაცმლით წარსდგა, ნიშნად იმისა, რომ ის ომში მყოფი ქვეყნის პრეზიდენტია და დედაქალაქის დატოვებას არ აპირებს. სხვადასხვა მოსაზრების თანახმად, პრეზიდენტის ამ გზავნილმა აღადგინა მოქალაქეების რწმენა ხელისუფლების მიმართ. ასევე, საერთაშორისო საზოგადოებაში გაიზარდა მისი, როგორც ლიდერის, ავტორიტეტი.[59]

როგორ გახდა ეს შესაძლებელი?

უკრაინაში საინფორმაციო უსაფრთხოების ჩარჩოზე მუშაობა, NATO-ს კონცეფციაზე დაყრდნობით, 2015 წელს დაიწყო. ძირითადი აქცენტი გაკეთდა სამთავრობო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების კოორდინაციაზე, ინტეგრაციასა და სინქრონიზაციაზე, რომელთა მიზანია, შექმნას და გაავრცელოს საერთო სულისკვეთების გზავნილები, რომლებიც სრულად შეესაბამება ეროვნულ ღირებულებებს და ადაპტირებულია სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისთვის.[60]

სტრატეგიულ კომუნიკაციაზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა ვახსენოთ კომპონენტი, რომელზეც თავად ტერმინიც მიუთითებს - ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რომელსაც შესაბამისი დაგეგმვა სჭირდება. 2014 წლამდე, განსაკუთრებით, პრორუსი პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის, მმართველობის პერიოდში, მსგავსი მიმართულებით, თვალსაჩინო ნაბიჯები არ გადადგმულა. Torichnyi et al. კვლევის თანახმად, 2014 წელს უკრაინის კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის მხოლოდ სამუშაო ვერსია არსებობდა, ხოლო უკრაინის ინფორმაციული უსაფრთხოების 2009 წელს მიღებული დოქტრინა (უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულება) მოძველებული იყო და მასში უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომის წარმოების ალბათობა სათანადოდ შეფასებული არ იყო. ამდენად, არ არსებობდა საფრთხეებზე რეაგირების მექანიზმები და შესაბამისი მზაობა.[61]

[59] Guillot, N. 8 Lessons in Communications Strategy: Learning from Volodymyr Zelenskyy. CISION. Via link: https://www.cision.com/resources/articles/lessons-in-communications-strategy-from-zelenskyy/

[60] Ekman, I & Nilsson, P. (2023). Ukraine's Information Front Strategic Communication during Russia's Full-Scale Invasion of Ukraine. Swedish Defence Research Agency (FOI). Via link: https://foi.se/rest-api/report/FOI-R--5451--SE

[61] Torichnyi, V. et al. (2021). Information and Propaganda Component of the Russian Federation Hybrid Aggression: Conclusions for Developed Democratic Countries on the Experience of Ukraine. TRAMES, 25(75/70), 3, 355–368. DOI: https//doi.org/10.3176/tr.2021.3.06

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიამ კარგად გამოაჩინა უკრაინის სახელმწიფოს სუსტი მხარეები და მათი აღმოფხვრის საჭიროება. სწორედ ამ მოვლენის შემდეგ, უკრაინის ხელისუფლებაში პროდასავლური ძალების მოსვლასთან ერთად, ვითარება ნელ-ნელა შეიცვალა. ბუნებრივია, პირველ რიგში, ცვლილებები შეეხო არმიას, რომელიც რუსული აგრესიის შესაკავებლად მზად არ აღმოჩნდა.[62] პარალელურად, აღიარეს სტრატეგიული კომუნიკაციების, როგორც ჰიბრიდული საფრთხეების ერთ-ერთი კონტრზომის, მნიშვნელობა და ამ მიმართულების გასაუმჯობესებლად თუ თავიდან შესაქმნელად, შესაბამისი ნაბიჯებიც გადაიდგა.

უკრაინის კანონმდებლობაში გაჩნდა სტრატეგიული კომუნიკაციების ფენომენი, რომელიც გაიწერა ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინაში,[63] შესაბამისი განმარტებით. დოქტრინაში დეტალურად აღიწერა რუსეთიდან მომდინარე სხვადასხვა ტიპის საფრთხე და ის მექანიზმები, რომლებიც ამ საფრთხეების კონტრზომად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ამ მექანიზმების ძირითადი მახასიათებლებია: ხელისუფლების შტოებს შორის კოორდინაცია, მასობრივი კომუნიკაციების საშუალებათა მონიტორინგი საფრთხეების გამოსავლენად, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობა საერთაშორისო მედიაში უკრაინის სწორად წარმოსაჩენად, სამთავრობო და ადგილობრივ დონეზე ეფექტიანი კომუნიკაციის კოორდინაცია, კომუნიკაცია კრიზისული სიტუაციების დროს, ეროვნული სტრატეგიული ნარატივების შემუშავება და შესრულება, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული კომუნიკაციის დაგეგმვა და გამოყენება, სხვადასხვა სამინისტროსთან მუშაობა და მათი პროფილის მიხედვით, სტრატეგიული ნარატივის შემუშავება.

უკრაინაში კარგად ჰქონდათ გააზრებული ისიც, რომ სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში, სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორთან თანამშრომლობა აუცილებელია. ამ მხრივ, უკრაინამ მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო ევროკავშირთან და NATO-სთან. კერძოდ, 2015 წლიდან, სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში, უკრაინა აქტიურად თანამშრომლობს NATO-სთან.

[62] Zagorodnyuk, A. et al. (2021). Is Ukraine's reformed military ready to repel a new Russian invasion? Atlantic Council. Via link: https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/is-ukraines-reformed-military-ready-to-repel-a-new-russian-invasion/

[63] УКАЗ ПРЕЗИДЕНТА УКРАЇНИ №47/2017. Via link: https://www.president.gov.ua/documents/472017-21374

ნატო ეხმარება როგორც სამთავრობო უწყებებს, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ასევე, აქტიურად უწყობს ხელს უკრაინასა და NATO-ს შორის სტრატეგიული კომუნიკაციების პარტნიორობის საგზაო რუკის განხორციელებას. უკრაინა თანამშრომლობს NATO Strategic Communications Centre of Excellence-თან, რომელიც მდებარეობს რიგაში (ლატვია).[64] NATO-უკრაინის თანამშრომლობა ასევე გულისხმობს საკონსულტაციო მხარდაჭერასაც, სტრატეგიული კომუნიკაციების ძირითადი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების მიმართულებით.[65] 2017 წელს ევროკავშირის East StratCom Task Force-მა,[66] უკრაინის მთავრობასთან ერთად, შექმნა არაფორმალური სამუშაო ჯგუფი. ასევე, საკომუნიკაციო სფეროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ევროკავშირის ეგიდით, განხორციელდა რამდენიმე პროექტი, როგორებიცაა: „EU Mythbusters Twetter Feed“, „Disinformation Review“ და „Center for the exchange of the news in Russian language in Prague“, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები რუსულ ენაზე აქვეყნებენ თავიანთ ნაშრომებს და ეხმარებიან ერთმანეთს დეზინფორმაციის გამოძიებასა და მათი შედეგების გავრცელებაში.[67]

რუსეთთან დაპირისპირებაში საზოგადოების მედეგობის მიღწევა უკრაინის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა და ამ შედეგის მიღწევა, პირველ რიგში, სახელისუფლებო უწყებებისა და სამოქალაქო სექტორის მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობის გარეშე, წარმოუდგენელი იქნებოდა. ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა: StopFake (რუსული ყალბი ამბების გადამმოწმებელი ვებგვერდი), The Hybrid Warfare Analytical Group at the Ukraine Crisis Media Center (სწავლობს რუსული დეზინფორმაციის ტაქტიკებს), Detector Media (მონიტორინგს უწევს

[64] NATO Strategic Communications Centre of Excellence. Via link: https://stratcomcoe.org/ (27.09.2023).

[65] Centre for Global Studies “Strategy XXI”. (2019). Strategic communications in the focus of Ukraine – EU – NATO cooperation under the present conditions. Via link: https://geostrategy.org.ua/analityka/analitychna-zapyska/strategichni-komunikaciyi-u-fokusi-spivrobitnyctva-ukrayina-yes-nato-v-suchasnyh-umovah1/download-in-eng

[66] East StratCom Task Force - ევროპის კავშირის მიერ დაფუძნებული ექსპერტთა გუნდი, რომელიც, ძირითადად, აერთიანებს კომუნიკაციების, ჟურნალისტიკის, სოციალური მეცნიერებების სპეციალისტებს და რუსეთის მკვლევრებს. მისი მიზანია რუსულ (და არა მხოლოდ) დეზინფორმაციასთან ბრძოლა. ხელმისაწვდომია: https://euvsdisinfo.eu/

[67] Centre for Global Studies “Strategy XXI”. (2019). Strategic communications in the focus of Ukraine – EU – NATO cooperation under the present conditions. Via link: https://geostrategy.org.ua/analityka/analitychna-zapyska/strategichni-komunikaciyi-u-fokusi-spivrobitnyctva-ukrayina-yes-nato-v-suchasnyh-umovah1/download-in-eng

რუსული დეზინფორმაციის შინაარსს, ყოველწლიურად ჰყავს, დაახლოებით, 4.2 მლნ მკითხველი), Texty.org.ua (მონაცემთა ჟურნალისტიკის უახლესი მეთოდების გამოყენებით, ებრძვის რუსულ დეზინფორმაციას) და ა.შ., აქტიურად თანამშრომლობენ უკრაინის ხელისუფლებასთან, რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში.[68] აღნიშნული ორგანიზაციების მრავალწლიანმა გამოცდილებამ, სანდოობამ (როგორც დამოუკიდებელი აქტორები) და დეზინფორმაციასთან ბრძოლის განსხვავებულმა ტაქტიკებმა უკრაინის სტრატეგიულ კომუნიკაციას მეტი დამაჯერებლობა და მოქნილობა შესძინა.[69] მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთმანეთში თანამშრომლობაც, შეიქმნა საერთო ანტიდეზინფორმაციული ქსელი, რამაც უზრუნველყო სისწრაფე და ეფექტურობა, რაც ასე მნიშვნელოვანია კრემლის პროპაგანდასთან ბრძოლაში.[70]

საბოლოო ჯამში, აშკარაა, რომ უკრაინის სამოქალაქო საზოგადოება თამაშობს მნიშვნელოვან როლს კომუნიკაციების სფეროში. მეტიც, ის ხშირად პასუხობდა ისეთ გამოწვევებს, რომლებსაც სხვა ქვეყნებში, როგორც წესი, პასუხს სცემენ სახელმწიფო ინსტიტუტები.[71] European Centre of Excellence for Countering Hybrid Threats ცენტრის წარმომადგენლის, იაკუბ კალენსკის თქმით, „სამოქალაქო საზოგადოების მუშაობამ 2014-2022 წლებში მნიშვნელოვანი შედეგები აჩვენა მრავალი თვალსაზრისით, მათ შორის, ამან დაარწმუნა მთავრობები უკრაინასა და რეგიონში, გაეზარდათ კვლევები და ძალისხმევა რუსულ ნარატივებთან დასაპირისპირებლად“.[72]

[68] Petrenko, G. (February 24, 2023). How Ukraine is beating Russia's disinformation campaigns. Rest of World. Via link: https://restofworld.org/2023/how-ukraine-is-beating-russias-disinformation-campaigns/

[69] Ekman, I & Nilsson, P. (2023). Ukraine's Information Front Strategic Communication during Russia's Full-Scale Invasion of Ukraine. Swedish Defence Research Agency (FOI). Via link: https://foi.se/rest-api/report/FOI-R--5451--SE

[70] Fivenson, A. et al. (2023). Shielding Democracy – Civil Society Adaptations to Kremlin Disinformation about Ukraine. International Forum for Democratic Studies. Via link: https://www.ned.org/wp-content/uploads/2023/02/NED_FORUM-Shielding-Democracy.pdf

[71] Ekman, I & Nilsson, P. (2023). Ukraine's Information Front Strategic Communication during Russia's Full-Scale Invasion of Ukraine. Swedish Defence Research Agency (FOI). Via link: https://foi.se/rest-api/report/FOI-R--5451--SE

[72] Fivenson, A. et al. (2023). Shielding Democracy – Civil Society Adaptations to Kremlin Disinformation about Ukraine. International Forum for Democratic Studies. Page 6. Via link: https://www.ned.org/wp-content/uploads/2023/02/NED_FORUM-Shielding-Democracy.pdf

ამრიგად, სხვადასხვა კვლევისა თუ პრაქტიკული გამოცდილების ანალიზის შედეგად, ცხადი ხდება, რომ დეზინფორმაციის, ამ შემთხვევაში კი, კრემლის პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხანგრძლივი, კოორდინირებული მუშაობა შეუცვლელი ფაქტორია. 2014 წლის შემდეგ, სამთავრობო თუ სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი, მრავალწლიანი ძალისხმევის შედეგად, მოხერხდა ყალბი რუსული ნარატივის მინიმიზაცია.[73] უკრაინამ შეძლო, ციფრულ საინფორმაციო ინიციატივებში ჩაერთო არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ არასახელმწიფო აქტორები - არასამთავრობო ორგანიზაციები და რიგითი მოქალაქეები. შედეგად, სრულმასშტაბიანი აგრესიის დროს, უკრაინელების უმეტესობა მომზადებული შეხვდა რუსულ მანიპულაციურ გზავნილებს.[74]

2.4. ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით

პრაღის უსაფრთხოების შემსწავლელი ინსტიტუტისა (PSSI) და პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ანალიზის ცენტრის (CAPD) ერთობლივი კვლევის[75] თანახმად, კომუნისტური რეჟიმის ცვლილების შემდეგ, ჩეხეთის რესპუბლიკაში ნელ-ნელა დაიწყეს სახელმწიფოს სტრატეგიული კომუნიკაციის როლის გააზრება. კვლევაში მოყვანილია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო კამპანია. პირველ რიგში, აღსანიშნავია კამპანია, რომელიც წინ უძღოდა ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ ჩეხეთში ჩატარებულ რეფერენდუმს. იგი წარმატებულად მიიჩნევა როგორც სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის კუთხით, ისე რეფერენდუმის საბოლოო შედეგებზე გავლენის მხრივ.[76] PSSI-სა და CAPD-ის კვლევის მიხედვით, 2003 წლიდან მოყოლებული, ჩეხეთში ჩატარდა დაახლოებით 30 საკომუნიკაციო, მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული თავდაცვის სისტემების განთავსების მხარდასაჭერი კამპანია.

[73] Fivenson, A. et al. (2023). Shielding Democracy – Civil Society Adaptations to Kremlin Disinformation about Ukraine. International Forum for Democratic Studies. Via link: https://www.ned.org/wp-content/uploads/2023/02/NED_FORUM-Shielding-Democracy.pdf

[74] NASTASIA, S., & GEORGE, A. M. (2023). Communication Lessons from the Ukraine War: The Strategies, Narratives, and Implications of the Information Warfare. ESSACHESS. https://doi.org/10.21409/C6VV-BT86

[75] Prague Security Studies Institute (PSSI) and Center for Propaganda and Disinformation Analysis (CAPD). Strategic Communication in Czech Republic and Poland: Comparison of Perspectives and Practices. Via link: https://bit.ly/3MyGSak

[76] ევროკავშირში გაწევრიანებას მხარი ჩეხეთის მოსახლეობის 77%-მა დაუჭირა.

PSSI-სა და CAPD-ის კვლევაში აღნიშნულია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კამპანიები მოიცავს ცალკეულ აქტივობებს და ეძღვნება კონკრეტულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას. შესაბამისად, ისინი არ წარმოადგენს სახელმწიფოს ყოვლისმომცველი საკომუნიკაციო სტრატეგიის ნაწილს, თუმცა მათ წარმოაჩინეს ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ინსტიტუტების მზაობა და შესაძლებლობა, საკომუნიკაციო კამპანიების დაგეგმვა-განხორციელების კუთხით.[77]

ჩეხეთის რესპუბლიკისთვის, სხვა დემოკრატიების მსგავსად, სტრატეგიული კომუნიკაციების ეფექტიანი გამოყენება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ეს საჭიროება გამოწვეულია, თუნდაც, რუსული დეზინფორმაციით. „საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)“ კვლევის თანახმად, „ჩეხეთის რესპუბლიკაში რუსული დეზინფორმაციის წყაროებს მრავალი სახე აქვს. არსებობენ პოლიტიკოსები, ცალკეულ შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიებიც, მედიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და გასამხედროებული ჯგუფები, რომლებიც ღია ან ფარულ პრორუსულ პლატფორმაზე დგანან“. დეზინფორმაცია ვრცელდება როგორც ტრადიციული, ისე სოციალური მედიით და ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც კი.[78]

2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ, ჩეხეთის ხელისუფლება საინფორმაციო უსაფრთხოებას განსაკუთრებული ყურადღებით მიუდგა. 2016 წელს მთავრობამ ჩაატარა ეროვნული უსაფრთხოების აუდიტი,[79] რომელმაც ჰიბრიდული და საინფორმაციო საფრთხეების ანალიზის შედეგად, გამოავლინა ეფექტიანი სტრატეგიული კომუნიკაციის აუცილებლობა. კერძოდ, ინფორმაციის გავრცელების ნაწილში, გამოვლინდა მედიის, სოციალური ქსელებისა და სხვა წყაროების მანიპულაციური გამოყენება, ასევე, დეზინფორმაციული კამპანიები და პროპაგანდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მხრივ, ერთ-ერთ მთავარ ნეგატიურ აქტორად რუსეთია დასახელებული. აუდიტის

[77] Prague Security Studies Institute (PSSI) and Center for Propaganda and Disinformation Analysis (CAPD). Strategic Communication in Czech Republic and Poland: Comparison of Perspectives and Practices. Via link: https://bit.ly/3MyGSak

[78] წიწიკაშვილი, მ. მუმლაძე, ნ. (2020). ჩეხეთისა და ლიეტუვის გამოცდილება დეზინფორმაციასთან ბრძოლის კონტექსტში. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS). Via link: https://grass.org.ge/uploads/other/2021-03-16/883.pdf

[79] Center Against Hybrid Threats. (2016). National Security Audit. Via link: https://www.mvcr.cz/chh/clanek/audit-narodni-bezpecnosti.aspx

დოკუმენტში აქცენტი გაკეთდა სახელმწიფოს სტრატეგიული კომუნიკაციის აუცილებლობაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ, პოტენციური მტრული თავდასხმების შეკავებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მიზნით. ამასთან, განსაკუთრებით გაესვა ხაზი სტრატეგიული კომუნიკაციების ერთეულების სანდოობისა და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობას.

2017 წელს ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა ტერორიზმთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ცენტრი, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ქვეყნის მედეგობის ზრდა დეზინფორმაციასთან და რადიკალიზაციასთან მიმართებით.[80] 2022 წლის ივლისში უწყებას გადაერქვა სახელი და ამჟამად ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ცენტრი ეწოდება.[81] აღნიშნული ცენტრის მოვალეობებში შედის შიდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დეზინფორმაციის მონიტორინგი და ანალიზი, ასევე დეზინფორმაციული კამპანიებისადმი ქვეყნის მზაობის შეფასება. ცენტრი პერმანენტულად ამონიტორინგებს საზოგადოების ცალკეული ჯგუფების რადიკალიზაციას და ამზადებს შესაბამის ანგარიშებს. გარდა ამისა, ცენტრი მუშაობს საჯარო მოხელეებთან და ცდილობს მათი ცნობიერების ამაღლებას ჰიბრიდული საფრთხეების შესახებ.[82]

არასამთავრობო ორგანიზაციის „ცენტრი ინფორმირებული საზოგადოებისთვის“ ანალიტიკოსის, ვერონიკა ვიჰოვას[83] თქმით, ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ცენტრის მოვალეობებში სტრატეგიული კომუნიკაციების წარმართვა არ შედის. ის, უმეტესად, მონიტორინგს უწევს სხვადასხვა საფრთხეს და აფასებს რისკებს, მაგრამ მას ვერ ვუწოდებთ სტრატკომს.

მიმდინარე წლის დასაწყისში, ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ახალი დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ ფოკუსირებულია

[80] Center Against Hybrid Threats. Via link: https://www.mvcr.cz/chh/default.aspx

[81] The Center has been renamed the Center Against Hybrid Threats. Via link: https://bit.ly/49nAtZH

[82] წიწიკაშვილი, მ. მუმლაძე, ნ. (2020). ჩეხეთისა და ლიეტუვის გამოცდილება დეზინფორმაციასთან ბრძოლის კონტექსტში. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS). Via link: https://grass.org.ge/uploads/other/2021-03-16/883.pdf

[83] ექსპერტული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის „ცენტრი ინფორმირებული საზოგადოებისთვის“ ანალიტიკოსთან, ვერონიკა ვიჰოვასთან. ჩაიწერა 2023 წლის 10 ნოემბერს.

სტრატეგიულ კომუნიკაციებზე. ეს არის KRIT - Crisis Information Team.[84] ეს სამსახური ცდილობს კამპანიების წარმართვას, როგორც ონლაინ სივრცეში, ისე მის მიღმა. როგორც ჩვენთან ინტერვიუში ვერონიკა ვიჰოვამ განაცხადა, ისევე, როგორც სხვა არაერთ მსგავს სამსახურს, KRIT-საც აქვს კოორდინაციის პრობლემა სამთავრობო ოფისთან. ამ ტიპის კოორდინაცია კი, სტრატეგიული კომუნიკაციებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ვიჰოვა აღნიშნავს, რომ ზოგადად, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგარეო თუ თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლები, რომლებსაც მსგავსი ვალდებულებები აქვთ, ცდილობენ თავიანთი მაქსიმუმის გაკეთებას იმ რესურსებით, რომლებიც მათ ხელთაა. სხვადასხვა უწყებას შორის კოორდინაცია, ძირითადად, არა - უწყებრივ, არამედ პერსონალური კონტაქტების დონეზე ხდება. უწყებრივ დონეზე კოორდინაცია ნაკლებადაა წახალისებული ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან. ასევე, მსგავს სამსახურებს არ ჰყოფნით ფინანსური და ადამიანური რესურსი ფართომასშტაბიანი კამპანიების საწარმოებლად. მთავრობა ნაკლებად უსახავს მათ რაიმე სტრატეგიულ მიზანს. ასევე, ხშირად არეულია პოლიტიკური პიარისა და სტრატკომის ფუნქციები.

ნაკლოვანებების პარალელურად, სტრატეგიული კომუნიკაციის კარგი პრაქტიკის კონტექსტში, აღსანიშნავია ჩეხეთის არმია. PSSI-სა და CAPD-ის კვლევის[85] თანახმად, არმიის შესაბამისმა სტრუქტურამ მოახერხა ფართო საზოგადოების ინფორმირება ჯარის ყოველდღიური საქმიანობისა და მიზნების შესახებ. იგი განსაკუთრებით აქტიურია სოციალურ ქსელებში, კერძოდ, Facebook-სა და X (twitter)-ზე. ჩეხეთის არმიის სტრატეგიული კომუნიკაცია წარმატებულად შეფასდა NATO-ს სტრატკომის მიერ 2022 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშშიც,[86] რომელშიც ნათქვამია, რომ ეს უწყება სტაბილური და მაღალი ხარისხის კომუნიკატორია თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით. „ცენტრი ინფორმირებული საზოგადოებისთვის“ ანალიტიკოსის, ვერონიკა ვიჰოვას თქმით, ამ შედეგს შეიძლება რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდეს: ზოგადად, არმიის მიმართ ნდობა ჩეხეთში ყველაზე მაღალია, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან შედარებით; არმიის შესაბამისი სამსახურები აქტიურია

[84] KRIT - Crisis Information Team of the Ministry of the Interior. Via link: https://bit.ly/3QEj9XP

[85] Prague Security Studies Institute (PSSI) and Center for Propaganda and Disinformation Analysis (CAPD). Strategic Communication in Czech Republic and Poland: Comparison of Perspectives and Practices. Via link: https://bit.ly/3MyGSak

[86] Brezina, M. Et al. (2022). Communicating Defence in Slovakia and the Czech Republic: Mapping Actors and Narratives Online. NATO Strategic Communications Centre of Excellence. Via link: https://bit.ly/468vMjw

სოციალურ მედიაში და ქმნის კარგ აუდიო-ვიზუალურ კონტენტს; არმიას, სავარაუდოდ, მიეწოდება შესაბამისი გზამკვლევები NATO-სგან; ასევე, ის გადაწყვეტილებები, რომლებიც NATO-ს ეგიდით მიიღება, უფრო მარტივად მისაღები და შესაბამისად, მარტივად აღსასრულებელია პოლიტიკური წრეებისთვის. ამასთან, ვიჰოვას თქმით, ჩეხეთის რესპუბლიკას აქვს რეზერვის საკმაოდ კარგი სისტემა, რაც გულისხმობს, რომ შეგიძლია გახდე როგორც რეგულარული რეზერვის წევრი, ისე სპეციალიზაციით რეზერვისტი. მაგალითად, ჰიბრიდული საფრთხეების სპეციალისტებს ან ადამიანებს, რომლებსაც კარგად ესმით სტრატეგიული კომუნიკაცია, პიარი თუ სხვა სფერო, იღებენ რეზერვში და მათ სამოქალაქო გამოცდილებას იყენებენ ჩეხეთის არმიის მიზნებისთვის.

ცალკეული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ჩეხეთის რესპუბლიკას, სტრატეგიული კომუნიკაციების მხრივ, კვლავაც ბევრი ასპექტი აქვს გასაუმჯობესებელი. ჩვენი რესპონდენტის, ვერონიკა ვიჰოვას, თქმით, კვლევის ფარგლებში, 2023 წლის თებერვალში მთავრობამ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც ეხება ჩეხეთის რესპუბლიკის მზაობას დეზინფორმაციის ტალღის მიმართ. მასში ნათქვამია, რომ ჩეხეთს არ აქვს შესაბამისი საკანონმდებლო, სისტემური თუ ოპერატიული მზაობა დეზინფორმაციულ ტალღებთან გასამკლავებლად. ამ მხირვ, ყველაზე ადეკვატურად მომზადებულია უსაფრთხოების სამსახურები, თუმცა ეს სისტემის მხოლოდ ერთი ნაწილია.

Gnomon Wise-თან ინტერვიუში ვერონიკა ვიჰოვამ აღნიშნა, რომ მართალია, ჩეხეთის მთავრობა აცხადებს, რომ აქვს ჰიბრიდულ საფრთხეებთან და დეზინფორმაციასთან ბრძოლის, ასევე, ეფექტიანი სტრატკომების ჩამოყალიბების სურვილი, თუმცა რამდენად რეალიზდება ეს სურვილი პრაქტიკაში, ცალკე საკითხია. „ამჟამად ჩეხეთს ჰყავს კოალიციური მთავრობა, რომელიც ხუთი პოლიტიკური პარტიისგან შედგება. მათ უმრავლესობას ეს საკითხები შეტანილი ჰქონდა თავის წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროგრამებში, მაგრამ, როცა საქმე მიდგება რეალურ, ხელშესახებ შედეგებზე, გაწერილი გეგმების განხორციელებაზე, როგორც წესი, გარკვეული გამონაკლისების გარდა, მათი განხორციელება საკმაოდ არაეფექტურია. ასევე, არიან კონკრეტული პარტიის წარმომადგენლები არა მთავრობაში, არამედ - პარლამენტში, რომლებიც აცხადებენ, რომ დეზინფორმაცია არ არსებობს, მათ ზუსტად არ იციან, საერთოდ რას

ნიშნავს ეს, ვერ ხედავენ მის გავლენებს და ა.შ. ამდენად, პოლიტიკური კონსენსუსი დეზინფორმაციასთან სისტემური ბრძოლის შესახებ, საკმაოდ მყიფეა", - ამბობს ვიჰოვა.

ზემოაღნიშნულის გარდა, სხვადასხვა მკვლევრის მიერ, ჩეხეთის რესპუბლიკის სტრატეგიულ კომუნიკაციებში გამოწვევებად დასახელებულია სახელისუფლებო უწყებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა და შესაბამისად, სტრატეგიული გზავნილების არათანმიმდევრულობა.[87] არსებობს მოსაზრებები, რომ სამინისტროების დეპარტამენტების დონეზე მოქმედი სტრატკომები ვერ გაუმკლავდებიან კოორდინაციის საკითხებს და აუცილებელია სამთავრობო ოფისში არსებობდეს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრალური რგოლი.[88] ასევე იკვეთება სხვა გამოწვევებიც, კერძოდ: კომუნისტური მემკვიდრეობიდან შემორჩენილი პროპაგანდისტული ნარატივები გამქვირვალე, სანდო კომუნიკაციის ნაცვლად; ცალმხრივი კომუნიკაცია (მოქალაქეებთან და საჯარო ინსტიტუტებთან დიალოგის გარეშე); მეტწილად, სიტუაციური რეაქციები სტრატეგიული ხედვების ნაცვლად; სტრატკომების პოლიტიზება და მათი პარტიულ პიარსამსახურებად აღქმა; მოძველებული ბიუროკრატიული მიდგომები და ტექნოლოგიების არასაკმარისი გამოყენება.[89]

2.5 ლატვიის გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით

სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, ლატვიის რესპუბლიკაც წარმოადგენს რუსული საინფორმაციო ომის განსაკუთრებულ სამიზნეს. Hanley (2023)[90] გამოყოფს იმ ძირითად დეზინფორმაციულ გზავნილებს, რომლებიც ლატვიის მოქალაქეებზე, განსაკუთრებით კი, რუსულენოვან მოსახლეობაზე[91] ზეგავლენის მოხდენის მიზნით

[87] Prague Security Studies Institute (PSSI) and Center for Propaganda and Disinformation Analysis (CAPD). Strategic Communication in Czech Republic and Poland: Comparison of Perspectives and Practices. Via link: https://bit.ly/3MyGSak

[88] Presl, D. (2020). Teaching the State to Talk: Lessons for the Czech Republic on Using Strategic Communication as a Counter Disinformation Tool. Association for International Affairs. Via link: https://bit.ly/3MwEzEH

[89] Hejlova, D. (2022). Transitioning from Communist Propaganda to Government Communication in the Czech Republic. Lexington Books. Via link: https://bit.ly/47bOeJu

[90] Hanley, M. (September, 2023). Disinformation Landscapes in Latvia. Reviewed by Denisa-Liepniece, S. EU Disinfo Lab. Via link: https://www.disinfo.eu/wp-content/uploads/2023/09/20230919_LV_DisinfoFS.pdf

[91] ლატვიის მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი ეთნიკურად რუსია. CIA. The World Factbook – Country Summary – Latvia. Via link: https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/latvia/summaries

ვრცელდება. მაგალითად, დეზინფორმაცია, თითქოს ლატვიელები უფრო ხშირად კითხულობენ ჰიტლერის „Main Kampf"-ს, ვიდრე „ჰარი პოტერს" და სხვა მსგავსი მითები ემსახურება ლატვიელებისა და ლატვიის ხელისუფლების რუსოფობებად და ნაცისტებად წარმოჩენას - მცდარი რეალობის დახატვას ლატვიაში ნაციზმის გაძლიერების შესახებ. ასევე, პროპაგანდისტული წყაროებიდან ვრცელდება ყალბი და მანიპულაციური სიახლეები, თითქოს ლატვიის ხელისუფლება დევნის ეთნიკურად რუს მოსახლეობას, ლატვია არშემდგარი სახელმწიფოა, ლატვიელები უკეთ ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირის დროს და ა.შ. ამასთან, Hanley-ს (2023) თანახმად, კრემლის პროპაგანდა იყენებს რუსული ენის საკითხს ლატვიაში დეესტაბილიზაციისთვის. 2012 წელს ეროვნული ბოლშევიკური პარტიის ლიდერის, ვლადიმირს ლინდერმანის, ინიციატივით (მან შეაგროვა რეფერენდუმისთვის საჭირო ხელმოწერები), ლატვიაში ჩატარდა რეფერენდუმი რუსული ენის მეორე სახელმწიფო ენად აღიარების შესახებ. კენჭისყრის დღეს მოსახლეობის აქტივობა უპრეცედენტო იყო, 1991 წლის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შემდეგ. საბოლოოდ, ეს ინიციატივა ჩავარდა, რადგან რუსულის მეორე სახელმწიფო ენად აღიარებას მხარი მოსახლეობის მხოლოდ 24.88%-მა დაუჭირა, 70% კი წინააღმდეგი წავიდა. რეფერნდუმს თან ახლდა დაუსაბუთებელი ბრალდებები ინიციატივის მომხრეთა დევნის, რუსოფობიისა და ნაციზმის შესახებ, როგორც კრემლის მედიის, ისე ლატვიაში პრორუსული წყაროების მხრიდან. 2022 წლიდან, უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, რეფერენდუმის კვლავ ჩატარების თემა აქტუალური გახდა. კერძოდ, ომის დაწყების შემდეგ, ლატვიაში დაიწყეს საბჭოთა მონუმენტების ნგრევა, კრემლის პროპაგანდამ კი ეს საკითხი გამოიყენა ისე, თითქოს ლატვიაში „დერუსიფიკაცია" ხდება და საჭიროა რუსული ენის დაცვა. Gnomon Wise-თან ინტერვიუში[92] „ლატვიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის (LIIA)" მკვლევარი ალექსანდრა პალკოვა ხაზს უსვამს რუსული პროპაგანდის განსაკუთრებულ გააქტიურებას საბჭოთა მონუმენტების ნგრევის საპასუხოდ. მისი თქმით, ამ მოვლენების კვალდაკვალ და ზოგადადაც, ლატვიაში აშკარად იკვეთება პრორუსული ნარატივები, მათ შორის, ქვეყანაში რუსულენოვანი მოსახლეობის წილის გამოც.

რუსეთიდან მომდინარე ინფორმაციულ საფრთხეებთან (და არა მხოლოდ) ადეკვატურად გამკლავების მიზნით, ლატვიის სახელმწიფო კანცელარიაში

[92] ექსპერტული ინტერვიუ ლატვიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის (LIIA) მკვლევარ ალექსანდრა პალკოვასთან. ჩაიწერა 2023 წლის 20 ოქტომბერს.

მოქმედებს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საინფორმაციო სივრცის უსაფ-რთხოების სამსახური.[93] 2023 წლის იანვარში ლატვიის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა სტრატეგიული კომუნიკაციისა და საინფორმაციო სივრცის უსაფრთხოების ეროვნული კონცეფცია 2023-2027 წლებისთვის.[94] კონცეფცია ადგენს ექვს ძირითად სამოქმედო არეალს: 1. ეროვნული სტრატეგიული კომუნიკაციისა და შესაძლებლობების განვითარება, 2. საინფორმაციო სივრცის მდგრადობის გაუმჯობესება სხვადასხვა საფრთხის მიმართ, 3. მედიის გაძლიერება და მედიაგარემოს გაუმჯობესება. 4. საზოგადოების მდგრადობის ზრდა საინფორმაციო საფრთხეების მიმართ, 5. პარტნიორობა სამოქალაქო საზოგადოებასთან, კერძო და აკადემიურ სექტორთან, 6. საერთაშორისო თანამშრომლობა.

კონცეფცია ხაზს უსვამს სტრატეგიული კომუნიკაციის გადამწყვეტ როლს ინფორმაციული სივრცის უსაფრთხოების გაძლიერებაში. აქცენტი კეთდება დეზინფორმაციასთან ბრძოლაზე, ინფორმაციული გავლენის ოპერაციებსა და საგარეო ჩარევაზე, რომლის მთავარ წყაროდაც რუსეთია დასახელებული. ასევე, კონცეფცია ასახავს სახელმწიფო კანცელარიის ძალისხმევას სექტორთაშორისი საკომუნიკაციო კამპანიების დაგეგმვის, საინფორმაციო სივრცის მონიტორინგის, სოციოლოგიური კვლევების ჩატარებისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის კუთხით. იგი ხაზს უსვამს მედიაწიგნიერების ხელშეწყობის მნიშვნელობას. ასევე, აღნიშნულია, რომ სახელმწიფო კანცელარია აქტიურად ავრცელებს სტრატეგიული კომუნიკაციის ნარატივებს, აწყობს სასწავლო წვრთნებს და ყოველწლიური პროგრესის მონიტორინგისთვის, 2024 წლიდან, სხვადასხვა საჯარო სამსახურებისგან იბარებს წლიურ ანგარიშებს.

Hanley (2023) გამოყოფს ლატვიის სახელმწიფო კანცელარიის სტრატკომის რამდენიმე მნიშვნელოვან პრაქტიკულ აქტივობას. მაგალითად, დასახელებულია, რომ 2022 წელს გამოიცა ელექტრონული წიგნი, სახელწოდებით „სახელმძღვანე-ლო დეზინფორმაციის წინააღმდეგ: აღიარე და შეეწინააღმდეგე“. გზამკვლევში

[93] Cabinet of Ministers Republic of Latvia. Strategic Communication and Security of the Information Space. Via link: https://www.mk.gov.lv/en/stratcom

[94] Government of Latvia. (2023). The National Concept on Strategic Communication and Security of the Information Space. Via link: https://www.mk.gov.lv/en/valsts-strategiskas-komunikacijas-un-informativas-telpas-drosibas-koncepcija

გაწერილია რეკომენდაციები როგორც სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, ისე მოსახლეობისთვის. ამასთანავე, Hanley (2023) აღნიშნავს, რომ კანცელარიის სტრატკომი წარმოადგენს ერთგვარ შუამავალ რგოლს სახელმწიფოს, ტექნოლოგიების სფეროს და სოციალური მედიის კომპანიებს შორის.[95]

რუსული საინფორმაციო გავლენების შემცირებაში სახელმწიფოს როლზე საუბრისას, Voltri (2022) წერს, რომ ლატვიაში, კომუნიკაციისა და მედიასთან დაკავშირებული ასპექტების მართვაში, სხვადასხვა სამთავრობო უწყება განსხვავებულ როლს ასრულებს. სახელმწიფო კანცელარია ყურადღებას ამახვილებს კომუნიკაციის კოორდინაციასა და გაუმჯობესებაზე, განსაკუთრებით, კრიზისულ სიტუაციებში. კულტურის სამინისტრო პასუხისმგებელია მედიაპოლიტიკის შემუშავებაზე და მედიაწიგნიერების ამაღლებაზე. განათლების ეროვნული ცენტრი ცდილობს მედიაწიგნიერების ჩართვას სასკოლო სასწავლო გეგმებში. საგარეო საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია საერთაშორისო კომუნიკაციასა და თანამშრომლობაზე, თავდაცვის სამინისტრო კი ახორციელებს სტრატეგიულ კომუნიკაციას თავდაცვის სფეროში.[96] აქვე აღსანიშნავია ელექტრონული მედიის ეროვნული საბჭოს (NEPLP) მიერ მომზადებული მედიაწიგნიერების მონაცემთა ბაზაც. იგი წარმოადგენს ცოდნისა და ინფორმაციის ერთგვარ საცავს, ასევე, საკომუნიკაციო პლატფორმას მედიაწიგნიერების სფეროში, რომელიც რეგულარულად აქვეყნებს აქტუალურ სიახლეებსა და მასალებს ლატვიაში მედიაწიგნიერების ხელშეწყობის მიზნით. მონაცემთა ბაზა შეიქმნა სახელმწიფო ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აკადემიურ დაწესებულებებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობით.[97]

ზემოაღნიშნულ აქტივობებთან ერთად, მნიშვნელოვანია, წლების განმავლობაში, ლატვიის ხელისუფლების თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან.

[95] Hanley, M. (September, 2023). Disinformation Landscapes in Latvia. Reviewed by Denisa-Liepniece, S. EU Disinfo Lab. Via link: https://www.disinfo.eu/wp-content/uploads/2023/09/20230919_LV_DisinfoFS.pdf

[96] Voltri, J. (2022). Countering Russian Information Influence in the Baltic States: A Comparison of Approaches Adopted in Estonia, Latvia, and Lithuania. Sõjateadlane (Estonian Journal of Military Studies), Volume 19, 2022, pp. 161–196. Via link: https://www.kvak.ee/files/2023/01/Sojateadlane-19-2022-Johannes-Voltri-COUNTERING-RUSSIAN-INFORMATION-INFLUENCE-IN-THE-BALTIC-STATES-A-COMPARISON-OF-APPROACHES-ADOPTED-IN-ESTONIA-LATVIA-AND-LITHUANIA.pdf

[97] Media Literacy Database. Via link: https://datubaze.neplp.lv/

მაგალითად, Baltic Centre for Media Excellence-თან[98] და მის მიერ ბალტიის ქვეყნების მასშტაბით შექმნილ ქსელთან, რომელიც აერთიანებს ჟურნალისტებს, საარჩევნო სისტემის წარმომადგენლებს, უსაფრთხოების სამსახურებსა და მთავრობების წარმომადგენლებს. ქსელის მიზანია, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება გარე ჩარევებისგან არჩევნების დასაცავად.[99] გარდა ამისა, ლატვია თანამშრომლობს საგამოძიებო ჟურნალისტიკის ბალტიის ცენტრთან (Re: Baltica).[100] ეს ორგანიზაცია იკვლევს და ავლენს მთავარ დეზინფორმაციულ ნარატივებს. ასევე, ახორციელებს პროექტს - Re: Check, რომელიც ჩართულია ფაქტების შემოწმებასა და სოციალური მედიის კვლევაში, რათა გამოავლინოს შესაბამისი გვერდები თუ კონკრეტული პოსტები, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს შეცდომაში შემყვან, მანიპულაციურ შინაარსს.

2014 წელს რიგაში, მათ შორის, ლატვიის ინიციატივით, დაარსდა NATO-ს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი (NATO StratCom COE), რომელიც პასუხისმგებელია NATO-სა და მის პარტნიორ ქვეყნებში სტრატეგიულ კომუნიკაციებზე. იგი იკვლევს და აქვეყნებს შესაბამის ანგარიშებს საინფორმაციო ოპერაციებისა და მანიპულაციური კამპანიების შესახებ, რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას ბალტიისპირეთის საინფორმაციო სივრცეში რუსეთისა თუ სხვა აქტორების მავნე ჩარევების შესახებ, ავლენს ანტიდასავლურ ნარატივებს.[101]

ლატვიაში მოქმედებს The Atlantic Council's Digital Forensic Lab (DFRLab)-ის წარმომადგენლობა, რომელიც რეგულარულად იკვლევს დეზინფორმაციულ ნარატივებს და ატარებს სხვადასხვა სასწავლო აქტივობას იმ ციფრული ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც მედიის მომხმარებლებს შეუძლიათ გამოიყენონ ფოტომანიპულაციისა და ყალბი ამბების გამოსავლენად.[102]

[98] Baltic Center for Media Excellence. Via link: https://www.bcme.eu/en/home-page

[99] OECD Library. (2022). Mis- and disinformation: What governments can do to reinforce democracy. A chapter of: Building Trust and Reinforcing Democracy: Preparing the Ground for Government Action. Via link: https://www.oecd-ilibrary.org/sites/1f76484d-en/index.html?itemId=/content/component/1f76484d-en

[100] Re: Baltica. Via link: https://en.rebaltica.lv/

[101] NATO Strategic Communications Centre of Excellence (NATO StratCom COE). Via link: https://stratcomcoe.org/about_us/about-nato-stratcom-coe/5

[102] The Atlantic Council's Digital Forensic Lab (DFRLab) in Latvia. Via link: https://medium.com/dfrlab/tagged/latvia

სტრატეგიული კომუნიკაციების გარდა, ლატვიის ხელისუფლება იყენებს ხისტ მეთოდებსაც, ქვეყანაში რუსული დეზინფორმაციის შეზღუდვის მიზნით. ხელისუფლების ხისტი მიდგომები ეხება ისეთ ტელევიზიებსა და ვებგვერდებს, რომლებიც რუსულ დეზინფორმაციას ავრცელებენ. ელექტრონული მასმედიის შესახებ კანონის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი - ელექტრონული მედიის ეროვნული საბჭო (NEPLP) - უფლებამოსილია, აკრძალოს, ან შეზღუდოს ისეთ ვებგვერდებზე წვდომა, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას და საზოგადოებრივ წესრიგს. 2022 წლის აგვისტოში, ლატვიის NEPLP-მა აკრძალა 80 რუსული მედიასაშუალება, როგორც საფრთხე ეროვნული უსაფრთხოებისთვის. იმავე წლის დეკემბერში მაუწყებლობის ლიცენზია გაუუქმეს რუსულ ტელეკომპანია „დოჟდს“.[103]

აქტიური სტრატეგიული კომუნიკაციისა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიუხედავად, ლატვიაში კვლავაც ბევრი გამოწვევაა. მაგალითად, ლატვიის ხელისუფლება ჯეროვნად ვერ გაუმკლავდა კოვიდ-19-თან დაკავშირებულ დეზინფორმაციულ ტალღას. „ლატვიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის (LIIA)“ მკვლევარ ალექსანდრა პალკოვას თქმით, ვირუსის აქტიური გავრცელების პერიოდში, სახეზე იყო მთავრობის კომუნიკაციის ჩავარდნა, რადგან თავდაპირველად ის მონათლეს, როგორც ჩვეულებრივი გრიპი. ასევე, ანტივაქსერები იყვნენ თავად მთავრობაშიც. გარდა ამისა, ლატვიის რუსულენოვანი მოსახლეობის 37% მხარს უჭერდა რუსულ „სპუტნიკის“ ვაქცინას და არ ენდობოდა დასავლურ ვაქცინებს.

2.6 ესტონური გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით

ესტონეთში სტრატეგიული კომუნიკაციები მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებაში სხვადასხვა რგოლის კოორდინირებას. ესტონური ხედვა ხაზს უსვამს, რომ მთავრობის კომუნიკაცია მხოლოდ ერთია იმ უამრავ ხმას შორის, რომლებიც, დემოკრატიული პრინციპებისა და სიტყვის თავისუფლების სტანდარტების შესაბამისად, ესტონეთში ისმის და საჭიროა მესიჯების იმგვარად კოორდინირება, რომ ესტონეთის სახელმწიფო დაცული იყოს მტრული

[103] Hanley, M. (September, 2023). Disinformation Landscapes in Latvia. Reviewed by Denisa-Liepniece, S. EU Disinfo Lab. Via link: https://www.disinfo.eu/wp-content/uploads/2023/09/20230919_LV_DisinfoFS.pdf

ჩარევისგან, საზოგადოების გახლეჩვის ხელშეწყობისა და მოკავშირეთა თვალში ესტონეთის სანდოობის ეროზიისაგან.[104]

ესტონეთის სტრატეგიული კომუნიკაციის სტრატეგია ეფუძნება ნაბიჯების ჯაჭვს, რომელიც მოიცავს მონიტორინგის შედეგად შეგროვებული მონაცემების ანალიზს, უწყებათაშორის კოორდინირებასა და დაგეგმვას, კრიზისებში მთავრობის კომუნიკაციის შესაძლებლობების გაძლიერებასა და საზოგადოების ინფორმირებას, მათ შორის, მავნე დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და საზოგადოებაზე მისი ზეგავლენის შემცირების გზით. ამ პროცესში, ესტონეთის მთავრობის გვერდის ინფორმაციით, დაცულია მოქმედების პრინციპები. ეს პრინციპები გულისხმობს, რომ, პირველ რიგში, ესტონეთი აწარმოებს დიალოგს თავის აუდიტორიასთან, რომელთანაც ცდილობს საუბარსა და კავშირის დამყარებას; იაზრებს, რომ სიტყვები მხოლოდ ქმედებების მხარდასაჭერად უნდა გამოიყენებოდეს და პირიქით, ქმედებების გარეშე, სიტყვები შედეგს ვერ მიაღწევს. შესაბამისად, საჭიროა მიდგომა, რომელშიც კომუნიკაცია და ქმედებები შეერთდება. გარდა ამისა, ესტონეთის მთავრობა ცალკე ყურადღებას უთმობს სტრატეგიულ კომუნიკაციებში, ამოცანების მისაღწევად, მოქალაქეების ჩართულობის მნიშვნელობას.[105]

ესტონეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რამდენიმე სხვადასხვა მონაკვეთში, ყურადღებას ამახვილებს კომუნიკაციების მნიშვნელობაზე. დოკუმენტის მიხედვით, კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა, მედიით გავრცელებულ ინფორმაციას მოქალაქეებზე უფრო მეტი გავლენა ჰქონდეს. რეალობის გამამრუდებელი ინფორმაციები, თავის მხრივ, საერთაშორისო დაძაბულობის, რადიკალიზაციისა და საზოგადოების ერთიანობის დამაზიანებელი გამხდარა. ამასთან, ინფორმაციის გავრცელების საშუალებების განვითარებამ მოქალაქე უფრო გათვითცნობიერებული გახადა და, რამდენადაც მან მეტი იცის, მთავრობებისგან მოლოდინიც მეტი აქვს. მეტიც, მოლოდინის პარალელურად, მოქალაქეებს აქვთ მზაობა, ჩაერთონ ქვეყნის სასიკეთო ნაბიჯების დაგეგმვა-განხორციელებაში. შესაბამისად, თითოეულ ამ ეტაპზე მთავრობა ვალდებულია,

[104] Government Office of the Republic of Estonia. ხელმისაწვდომია: https://riigikantselei.ee/en/strategic-communication

[105] იქვე.

გამართული კომუნიკაცია ჰქონდეს მოქალაქეებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომუნიკაციების ნაკლებობას მოქალაქეებში გაუცხოებისა და უარყოფის გრძნობის გამოწვევა შეუძლია, რაც, თავის მხრივ, შეიძლება სამოქალაქო საზოგადოებაში კონფლიქტისა და დაძაბულობის წარმოქმნის საფუძველი გახდეს. აქედან გამომდინარე, ესტონეთის უსაფრთხოების კონცეფცია ერთ-ერთ მთავარ მიზნად სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერებას განსაზღვრავს.[106]

ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია საერთაშორისო თანამშრომლობისა და კოორდინირების მნიშვნელობა. კერძოდ, მჭიდრო ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირთან და NATO-სთან სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში, ვინაიდან რუსეთის პოლიტიკის მზარდი აგრესიულობის ფონზე, ერთიანობა დასავლურ ალიანსებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ესტონეთი პრობლემად მიიჩნევს ძალადობრივი ექსტრემიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის გავრცელებას მსოფლიოს მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მომავალში, შესაძლოა, ესტონეთშიც გადაიღვაროს და თავისი საფუძველი იპოვოს.[107]

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია სტრატეგიული კომუნიკაციების წარმოებას შემდეგნაირად განსაზღვრავს: ეს არის სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური, თავდაცვასთან დაკავშირებული განცხადებებისა და აქტივობების დაგეგმვა, ერთიანი საინფორმაციო საფუძვლის მომზადება და მოქალაქეებისთვის მიწოდება. ამასთან, ეს უნდა იყოს ეროვნული ინტერესებისა და ღირებულებების გამომხატველი მიდგომა, რომელიც მოქალაქეებთან დიალოგში შემუშვდა და მთავრობას მოქალაქეების სამსახურში ჩააყენებს.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური თავდაცვის გაძლიერება იმ საფრთხეებთან გასამკლავებლად, რომლებიც ინფორმაციული ხასიათისაა და მიზნად ისახავს ესტონეთის, მისი კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო ღირებულებების დაზიანებას. ამგვარ თავდაცვას ევალება, გააუვნებელყოს ტერორისტული ორგანიზაციებისა თუ მტრული სახელმწიფოების დოქტრინის შესაბამისად წარმოებული პოლიტიკის გავლენა. ესტონეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო გზად მიიჩნევს

[106] Ministry of Defence of the Republic of Estonia. National Security Concept of Estonia. ხელმისაწვდომია: https://www.kaitseministeerium.ee/en/objectives-activities/basic-national-defence-documents გვ:5-6

[107] იქვე.

მოქალაქეთა ინფორმირებას თავდასხმების, მანიპულაციებისა და მცდარი ინფორმაციის შესახებ და მათ საპირწონედ, სანდო ინფორმაციაზე მოქალაქეთა წვდომის უზრუნველყოფას. დოკუმენტი ერთმანეთისგან მიჯნავს ფსიქოლოგიური თავდაცვისა და სტრატეგიული კომუნიკაციების კომპონენტებს, როგორც თავდაცვას, რომელიც უფრო რეაქციულია უკვე დამდგარ ფაქტებზე, ხოლო სტრატეგიული კომუნიკაცია პროაქტიულად უნდა მიწვდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს, მათ შორის, საერთაშორისო საზოგადოებას.[108]

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დემოკრატიისა და უსაფრთხოების კომიტეტის ანგარიშის მიხედვით, ფსიქოლოგიური თავდაცვა და სტრატეგიული კომუნიკაციები, ესტონეთის უსაფრთხოების კონცეფციის ექვსი სვეტიდან, ერთ-ერთის საფუძველს წარმოადგენს. კომიტეტმა შეისწავლა ესტონეთში სტრატეგიული კომუნიკაციებისა და ფსიქოლოგიური თავდაცვის მიზნით გადადგმული ნაბიჯები და ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

1. 2018 წლიდან ესტონეთის მთავრობის ოფისში სტრატეგიული კომუნიკაციების გუნდის ამუშავება, რაც სამ სვეტს ეყრდნობა: სიტუაციის შესწავლა და ანალიზი, მტრული საინფორმაციო ოპერაციების მიმართ მედეგობის გაზრდა, კრიზისებში მთავრობის კომუნიკაციის ეფექტურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

2. გამჭვირვალობა, როგორც ესტონური სახელმწიფოს საფუძველი, საფრთხეების შეფასების ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფა, რათა მოქალაქეებმა და სახელმწიფომ საერთო ხედვები და აღქმები ჩამოიყალიბონ დეზინფორმაციის მიერ სახელმწიფოსათვის შექმნილი საფრთხეების შესახებ. უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან, ყოველწლიური ანგარიშების გამოქვეყნება, მათ შორის, დეზინფორმაციული კამპანიების უკან მდგომი აქტორების მხილების ჩათვლით;

3. მედიაწიგნიერების მნიშვნელობა, მათ შორის, სასკოლო პროგრამაში მედიამანიპულაციების, კიბერჰიგიენისა და საინფორმაციო ჰიგიენის სავალდებულო კურსის ინტეგრირება;

[108] იქვე. გვ: 20

4. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა - სამოქალაქო ორგანიზაციები წარმოადგენენ საკვანძო აქტორებს მტრული საინფორმაციო აქტივობების წინააღმდეგ ფსიქოლოგიური თავდაცვის გაძლიერებაში.[109]

ესტონეთის შემთხვევაში, გარდა მთავრობის ოფისში სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულების კოორდინირების ვალდებულებისა, გაჩნდა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები/ცენტრები უწყებების დონეზე. მაგალითად, ესტონეთის თავდაცვის ძალების დაქვემდებარებაში შეიქმნა სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი, რომლის მიზნებადაც განისაზღვრა: მშვიდობიანობის პერიოდში, ესტონეთის თავდაცვის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ინფორმაციის ეფექტური კომუნიცირება და შესაბამისი მასალების გავრცელება; კრიზისული პერიოდებისთვის მედიაპროფესიონალების მომზადება და შესაბამისი ინფორმაციითა და ცოდნით აღჭურვა.[110] ამრიგად, თავდაცვის ძალების დაქვემდებარებაში მოქმედი სტრატკომი მუშაობს მშვიდობიან პერიოდში საზოგადოების ინფორმირებაზე, თავდაცვის ძალების დადებითი იმიჯის გავრცელებაზე, მობილიზაციის ხელშეწყობაზე, პარალელურად კი განსაზღვრავს იმ სტრატეგიულ ნაბიჯებს, რომლებიც კრიზისულ პერიოდში უნდა გადაიდგას.

სტრატეგიული დაგეგმვისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი შეიქმნა განათლებისა და კვლევების სამინისტროს ფარგლებშიც. მედიაწიგნიერების კუთხით, ესტონეთის განათლების სამინისტრო წამყვან უწყებად ჩამოყალიბდა, თუმცა სახელმწიფო დონეზე, ამავე მიმართულებით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება ესტონეთის მთავრობის ოფისისა და ეკონომიკისა და კომუნიკაციების სამინისტროს ვალდებულებებშიც ხვდება. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფო არ არის ერთადერთი აქტორი, რომელიც ესტონეთში მედიაწიგნიერების მიმართულებით მუშაობს. შეგვიძლია გამოვყოთ ხუთი კატეგორია:

1. მთავრობა; 2. განათლება და აკადემიური სფერო; 3. სამოქალაქო

[109] Committee on Democracy and Security, NATO Parliamentarry Assembly. Mission Report 2021 – Virtual Visit Estonia. ხელმისაწვდომია: https://www.nato-pa.int/download-file?filename=/sites/default/files/2021-06/098%20CDS%2021%20E%20-%20REPORT%20VIRTUAL%20VISIT%20TO%20ESTONIA_0.pdf

[110] Strategic Communication Centre, Ministry of Defence of the Republic of Estonia. ხელმისაწვდომია: https://mil.ee/en/landforces/cyber-command/strategic-communications-centre/

საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული გაერთიანებები; 4. საზოგადოებრივი და კომერციული მედია; 5. მხარდამჭერები / დონორები (საგარეო, საერთაშორისო, არაესტონური წარმოშობის).

თავის მხრივ, სხვადასხვა აქტორი თავის თავში ბევრ მიმართულებას აერთიანებს. განათლების სამინისტროს შემთხვევაში, მედიაწიგნიერების მიმართულებით მუშაობაში სამინისტროს ეხმარებიან ესტონეთის განათლებისა და ახალგაზრდობის საბჭო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფონდი განათლებისთვის (HITSA). მათი მონაწილეობით, ესტონეთის განათლების სამინისტრო გეგმავს და აორგანიზებს სხვადასხვა აქტივობას სხვადასხვა აუდიტორიისთვის, მედიაწიგნიერების მიმართულებით.[111]

ესტონეთი, გარდა ეროვნულ დონეზე წარმოებული სტრატეგიული კომუ-ნიკაციებისა, მონაწილეობს NATO-ს სტრატეგიული კომუნიკაციების ოპე-რაციებში, ევროკავშირის მიერ წარმოებულ სტრატეგიული კომუნიკაციების ოპერაციებში და, ამასთან, ხაზს უსვამს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობების მნიშვნელობას მოცემულ სფეროში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესტონეთის სახელმწიფოს მიდგომა სტრატეგიული კომუნიკაციების სფერო-ში მულტიაქტორული და მულტისექტორული მოქმედების აუცილებლობაზე, სწორედ იმას გულისხმობს, რომ აქტივობები და აქტივობაზე პასუხისმგებელი/ აქტივობაში ჩართული უწყებებისა და პარტნიორების სია განისაზღვროს სამიზნე აუდიტორიის მიხედვით. ესტონური სახელმწიფოს მაგალითის წინამდებარე მიმოხილვა აჩვენებს, რომ, მიუხედავად სახელმწიფოს მცირე ზომისა, ესტონეთი რჩება ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ ციფრული ტექნოლოგიების, პრესის თავისუფლების, კიბერუსაფრთხოების მიმართულებით.

2.7 ლიეტუვას გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით

ლიეტუვაც ერთ-ერთია იმ სახელმწიფოთა შორის, რომელიც 2014 წელს NATO-ს სტრატკომის დაფუძნებაზე შეთანხმდა. როგორც ზემოთ განხილულ მაგალითებშიც ჩანს, საერთაშორისო თანამშრომლობები, ორგანიზაციები თუ

[111] International Centre for Defence and Security. Media Literacy Sector Mapping – Estonia Country Report. 2022. ხელმისაწვდომია: https://www.bcme.eu/upload/projects/642/ML_Mapping_Estonia_2022.pdf
გვ: 6-9

ორმხრივი პარტნიორობები სტრატეგიული კომუნიკაციების მხოლოდ ერთი ნაწილია. მის პარალელურად, საკუთარი სტრატეგიული კომუნიკაციების ასახვა პოლიტიკის დოკუმენტებსა და უსაფრთხოების კონცეფციებში, ასევე, შესაბამისი დეპარტამენტების ქონა, თანამედროვე პრაქტიკას წარმოადგენს.

ლიეტუვას შემთხვევაში, ესტონეთთან და ლატვიასთან ერთად, ამგვარ თანამშრომლობებში დამატებითი როლი და ფუნქცია ბალტიურ საბჭოებს ენიჭება, რომლებიც, რეგიონულ დონეზე, მოცემული სამი ქვეყნის სახელმწიფოთაშორისი და უწყებათაშორისი კომუნიკაციის განსაკუთრებულ პრეცედენტს წარმოადგენს. მაგალითად, ბალტიის მინისტრთა საბჭოს პრემიერ-მინისტრების შეხვედრის ფარგლებში, სტრატეგიული კომუნიკაცია, როგორც საერთო მიზნების მიღწევის აუცილებელი კომპონენტი, ჯერ კიდევ 2015 წლის შეხვედრაზე ფიგურირებდა. მაშინ სამი ქვეყნის პრემიერები შეთანხმდნენ, რომ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის უზრუნველყოფისთვის, აუცილებელი იყო დეზინფორმაციასთან და საგარეო საინფორმაციო ოპერაციებთან საერთო ბრძოლა და აღნიშნეს, რომ გარდა NATO-სა და ევროკავშირის ფარგლებში გაწეული საერთო ძალისხმევისა, საჭირო იყო უშუალოდ სტრატეგიულ კომუნიკაციებზე მომუშავე შესაბამისი სააგენტოების თანამშრომლობის დაწყება ბალტიის ქვეყნებს შორისაც.[112]

სტრატეგიული კომუნიკაციების შესახებ შესაბამისი ჩანაწერი ლიეტუვამ გააკეთა 2017 წელს დამტკიცებულ უსაფრთხოების სტრატეგიაში, რომლის უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტებსა და ამოცანებში აღნიშნა: „გააძლიეროს სახელმწიფო უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციების შესაძლებლობები და შეიმუშავოს მექანიზმი ლიეტუვის რესპუბლიკის სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ წარმოებული სტრატეგიული კომუნიკაციის აქტივობების კოორდინირებისთვის“.[113]

უკვე 2021 წელს დამტკიცებულ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში კი სტრატეგიული კომუნიკაციების მნიშვნელობისა და მიზნის კიდევ უფრო კონკრეტული ფორმულირება გვხვდება: „დეზინფორმაციისა და სხვა საინფორმაციო საფრთხეების მიმართ საზოგადოებრივი მედეგობის გაძლიერება

[112] Prime Ministers' Council of the Baltic Council of Ministers. ხელმისაწვდომია: https://lrv.lt/en/news/prime-ministers-council-of-the-baltic-council-of-ministers

[113] National Security Strategy of the Republic of Lithuania 2017. ხელმისაწვდომია: https://www.newstrategycenter.ro/wp-content/uploads/2019/07/2017-nacsaugstrategijaen.pdf

კრიტიკულ გააზრებაზე ორიენტირებული განათლების სისტემისა და კოორ-დინირებული (მასმედია, სოციალური მედია, საინფორმაციო წიგნიერების პროგრამები) სტრატეგიული კომუნიკაციების კამპანიების წარმოების გზით. აღნიშნული აქტივობები ხორციელდება საჯარო, კერძო, არასამთავრობო და აკადემიური წრეების ჩართულობით".[114]

ლიეტუვას თავდაცვის სტრატეგიაში სტრატეგიული კომუნიკაციების კომპო-ნენტის როლის მნიშვნელობა გაიზარდა 2014 წელს, უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული სამხედრო და საინფორმაციო ოპერაციების შემდეგ. შედეგად, ლიეტუვამ, თავდაცვის მიმართულებით, ეს კომპონენტი რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე დააფუძნა:

- ჰიბრიდული საფრთხეების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- სამხედრო მზაობა და ეროვნულ თავდაცვაში მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა;
- კრიზისების მართვის მექანიზმში მყისიერი რეაგირების დანერგვა;
- რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირება და ჰიბრიდული საფ-რთხეების მიმართ მედეგობის გაძლიერება, მათ შორის, ეროვნული კიბერუსაფრთხოების ცენტრის დაფუძნების გზით.[115]

მოცემული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, ლიეტუვამ დაგეგმა შემდეგი სამი ნაბიჯის გადადგმა:

1. სტრატეგიული კომუნიკაციების შესაძლებლობების გაძლიერება (მათ შო-რის, შესაბამისი განყოფილებების შექმნა საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში, შეიარაღებულ ძალებში, დაზვერვის ინსტიტუტებში, ასევე, დეპარტამენტები სხვა სამინისტროებში);

[114] National Security Strategy of the Republic of Lithuania 2021. ხელმისაწვდომია: https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/3ec6a2027a9a11ecb2fe9975f8a9e52e?jfwid=rivwzvpvg

[115] European Parliamentary Research Service. Strategic communications as a key factor in countering hybrid threats. 2021. ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2021/656323/EPRS_STU(2021)656323_EN.pdf გვ. 34-35

2. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საინფორმაციო ოპერაციებისა და პროპაგანდის შესახებ;

3. ომისა და სიძულვილის პროპაგანდის გავრცელების შეჩერება.[116]

ამასთან, როგორც ზემოთ მიმოხილულ სხვა შემთხვევებში, ლიეტუვამაც დაინახა სტრატეგიულ კომუნიკაციებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობა და მათთან შესაბამისი თანამშრომლობები დაიწყო. ჩართულობა გულისხმობს იმგვარ სამოქალაქო მოძრაობებსაც, რომლებშიც მოქალაქეები სახელმწიფოს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე მოხალისეობრივად ინაწილებენ. ამ მიმართულებით, ორი საინტერესო მაგალითია - „ელფებისა“ და ლიეტუველ მსროლელთა კავშირი.

ლიეტუველ მსროლელთა კავშირი ჯერ კიდევ საბჭოთა ოკუპაციამდე შეიქმნა და შემდგომში აქტიურ სამხედრო მოქმედებებშიც მონაწილეობდა. დღეს, ანუ მშვიდობიან პერიოდში, ეს კავშირი მოქალაქეთა ინფორმირების, სამხედრო მომზადებისა და კულტურული ღონისძიებების ჩატარებით შემოიფარგლება, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, სამხედროთა დახმარებაში მოქალაქეთა ჩართულობას და თავდაცვის, როგორც ერთიანი ეროვნული საქმის, მიზანს ემსახურება. მეტიც, 2022 წელს, პარლამენტის გადაწყვეტილებით, ლიეტუვამ ამ კავშირის საერთო თავდაცვის სტრატეგიებში ინტეგრირება დაიწყო.[117] [118]

ლიეტუველ „ელფებს“ კი სამოქალაქო საზოგადოების თვითორგანიზებისა და დეზინფორმაციასთან წარმატებული ბრძოლის მაგალითად ასახელებენ ხოლმე. ამ მცირე, დახურული ფეისბუქჯგუფიდან დაწყებულმა აქტივობამ, როგორც „თაიმი“ წერს, ლიეტუვა რუსეთთან საინფორმაციო ომის ლიდერად აქცია.[119]

ლიეტუვა, როგორც საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ ყოფნის გამოცდილების მქონე ქვეყანა, კვლავ რუსული საფრთხის წინაშე დგას და რუსული საინფორმაციო

[116] იქვე. გვ. 35

[117] Lithuanian parliament expands activities of Riflemen's Union. ხელმისაწვდომია: https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/1816497/lithuanian-parliament-expands-activities-of-riflemen-s-union

[118] Ministry of National Defence of Lithuania. Structure. ხელმისაწვდომია: https://kam.lt/en/structure/

[119] Abend, Lisa. Meet the Lithuanian 'Elves' Fighting Russian Disinformation. Time. 2022. ხელმისაწვდომია: https://time.com/6155060/lithuania-russia-fighting-disinformation-ukraine/

ოპერაციები აქ, სხვადასხვა ფორმით, დღემდე მიმდინარეობს. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი ლიეტუვის წარსულსა და სუვერენიტეტის ლეგიტიმაციაზე თავდასხმაა, რასაც რუსეთი, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ლიეტუველების დის-კრედიტაციის კამპანიებით, ხშირად მიმართავს.[120] სახელმწიფო პოლიტიკაში კი განსაკუთრებული როლი აქვს სამოქალაქო ჩართულობას ამგვარი კამპანიების წინააღმდეგ.

სახელმწიფო დონეზე, შეიქმნა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს და სხვა უწყებების ფარგლებში. ამასთან, 2015 წელს დაარსდა კიბერუსაფრთხოების ეროვნული ცენტრი და 2017 წლის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველ-ზე, ინფორმაციული სივრცის უსაფრთხოებისა და ეროვნული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მონიტორინგის ცენტრალიზება მოხდა. ამის მიზანია საინფორმაციო სივრცის დაცვა კიბერშეტევებისა და ყალბი ამბების ოპერაციებისაგან. ლიეტუველებმა, ამავე მიზნის მისაღწევად, რუსული სა-ტელევიზიო მაუწყებლობების ტრანსლირების შეზღუდვის გადაწყვეტილება მიიღეს.[121] მეტიც, გადაწყვეტილება კიდევ უფრო შორს წავიდა და მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ, მიუხედავად მაუწყებლობის შეზღუდვისა, რუსული არხები ხელმისაწვდომი იყო ონლაინ, უკვე რუსეთის უკრაინაში შეჭრის კონტექსტში, 2023 წლის ივნისში რადიოსა და ტელევიზიის კომისიამ ინტერნეტპროვაიდერებს იმ IP მისამართების დაბლოკვა დაავალდებულა, რომლებიც რუსულ ტელეარხებს ინტერნეტის საშუალებით ადევნებდა თვალს.[122]

როგორც მოცემული მაგალითი აჩვენებს, ლიეტუვა კონტრპროპაგანდისა და კონტრდეზინფორმაციის ოპერაციებს რამდენიმე დონეზე ახორციელებს: სამო-ქალაქო ინიციატივები („ელფები“ და სხვა), სახელმწიფო მარეგულირებელი

[120] Levan Kakhishvili, Donatas Puslys. “Strategic communication and crisis management: analysing the cases of Georgia and Lithuania”, Policy Paper No. 12, Georgian Institute of Politics, November 2019. ხელმისაწვდომია: https://gip.ge/wp-content/uploads/2020/10/Strategic11.10.2019.pdf

[121] The Polish Institute of Foreign Affairs. The Lithuanian Model in the Fight agains Disinformation. ხელმისაწვდომია: https://pism.pl/publications/The_Lithuanian_Model_in_the_Fight_against_Disinformation

[122] Lithuania’s media watchdog blocks IP addresses used to access banned Russian channels ხელმისაწვდომია: https://www.lrt.lt/en/news-in-english/19/2018479/lithuania-s-media-watchdog-blocks-ip-addresses-used-to-access-banned-russian-channels

კომისია (ტელევიზიებისა და მედიების რეგულირების კონტექსტში), საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები - სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებით.

2.8 საერთაშორისო გამოცდილების შეჯამება

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება გარკვეული საერთო ტენდენციების გამოკვეთა, თუ რა მიიჩნევა სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში კარგ საერთაშორისო პრაქტიკად.

პირველ რიგში, ეს არის ინსტიტუციური მოწყობა და უწყებათაშორისი კომუნიკაცია, ვინაიდან ყველა მაგალითი აჩვენებს, რომ კომუნიკაცია არის სახელმწიფოს მხრიდან მისი ნაბიჯების უკეთ აღწერის საშუალება, ხოლო სტრატეგიული კომუნიკაცია, როგორც ფართო ტერმინი, გულისხმობს იმასაც, რომ თავად ეს ნაბიჯები შესაძლოა იყოს სახელმწიფოს მესიჯი - სტრატეგიული კომუნიკაციების მაგალითი. ამრიგად, გადაწყვეტილების მიმღები პირები გადაწყვეტილებას უნდა იღებდნენ სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებთან და სხვა უწყებებთან ინფორმაციისა და შესაძლო ნაბიჯების/შედეგების მიმოხილვის შემდეგ. მაგალითად, მარიამ თოხაძე, „საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (GCSD)“ დირექტორი, ამ თემაზე საუბრისას, ტრამპის რიტორიკასა და საჯარო მოხელეების მიერ განცხადებებს შორის აცდენაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ხშირად ტოვებდა ბუნდოვანებას საზოგადოებაში. „ინსტიტუციების პატივისცემამდე მივდივართ საბოლოო ჯამში, როგორ ვხედავ მე, როგორც პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელი, ინსტიტუციას, როგორც ჩემი დემოკრატიის საყრდენს, თუ ჩემს პარტიულ დანამატს“, - ამბობს თოხაძე.

მეორე ნაწილი საზოგადოებასთან თანამშრომლობაა. ჩვენ მიერ განხილული მაგალითები აჩვენებს, რომ საუკეთესო პრაქტიკის მქონე სახელმწიფოები აქტიურად თანამშრომლობენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ყველა დონეზე, ქმნიან დისკუსიისა და ინფორმაციის მიმოცვლის ფორუმებს, ხელს უწყობენ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს და ა.შ. განხილული საერთაშორისო მაგალითები ცხადყოფს, რომ საუკეთესო პრაქტიკაა ე.წ. ერთიანობის პრინციპი. გამოცდილება აჩვენებს, რომ უცხო ქვეყნის მხრიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეები და მათთან გამკლავება საზოგადოების ერთიანობით

არის შესაძლებელი და მასში მოქალაქეთა თითოეულ რგოლს თავისი როლი აქვს. უმნიშვნელოვანესია საკითხების გამორჩევა, სტრატეგიული დოკუმენტების, კონცეფციებისა და წინასწარ საფრთხეების შეფასების, მათზე რეაგირების დოკუმენტების მომზდება. დასავლური გამოცდილება აჩვენებს, რომ არსებობს წინასწარ განსაზღვრადი სფეროები, სადაც მოსალოდნელია, მტრული სახელ-მწიფო(ები)ს მხრიდან ჩარევის მცდელობას შევხვდეთ. წამყვანი ქვეყნები ამგვარ საფრთხეებს წინასწარ აფასებენ და მათზე რეაგირების ნაბიჯებსაც წინასწარ განსაზღვრავენ. საქართველოს პარლამენტში მოკვლევის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიში სწორედ ამის მაგალითი იყო - საქართველოში არსებული გამოწვევების შეფასება სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობით. თუმცა, სამწუხაროდ, პროცესი არ გაგრძელდა და არათუ 2020 და 2022 წლებში დოკუმენტი არ გაახლდა, არამედ 2018 წლის ანგარიშში განსაზღვრული ნაბიჯე-ბიც კი არ გადაიდგა.

და ბოლოს, საერთაშორისო მაგალითებში ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოად-გენს პოლიტიკური ნება. მმართველ ძალასა და პოლიტიკურ პარტიებს გაც-ნობიერებული უნდა ჰქონდეთ დეზინფორმაციის, როგორც გამოწვევის, მნი-შვნელობა, გააზრებული ჰქონდეთ უცხო სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის საფრთხე, სტრატეგიული კომუნიკაცია ესმოდეთ, როგორც სახელმწიფოს სტრატეგიული კომუნიკაცია, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკის ინსტრუმენტი და არა - როგორც პარტიული მიზნების მიღწევის საშუალება.

თავი III:

რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკისთვის

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილული დასავლური პრაქტიკა და საქართველოში არსებული რეალობა აჩვენებს, რომ საქართველოს სახელმწიფოს, სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით, გასატარებელი აქვს კომპლექსური რეფორმები როგორც ინსტიტუციური გაძლიერების, ისე უკვე მოქმედი დეპარტამენტების დებულებების პრაქტიკაში განხორციელების კუთხით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინამდებარე რეკომენდაციების შესრულება და სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით, სახელმწიფოს მხრიდან სწორი მიდგომების გამოყენება, დიდი ალბათობით, შეამცირებს რუსული დეზინფორმაციის მავნე გავლენებს და ხელს შეუწყობს პოლიტიკური დისკუსიის გაჯანსაღებას. ამგვარი ნაბიჯები მით უფრო მნიშვნელოვანია იმ კონტექსტში, რომ მათი გადადგმის შემდეგ, დღის წესრიგში ნაკლებად დადგება ისეთი სახიფათო საკანონმდებლო ინიციატივები, როგორიცაა, მაგალითად, ყალბი ამბების რეგულირება, რაც, ნებისმიერ შემთხვევაში, საფრთხეს შეუქმნის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. ასევე, წარმოშობს რისკს, რომ მსგავს რეგულაციებს ხელისუფლებები გამოიყენებენ კრიტიკული აზრის წინააღმდეგ მიმართულ იარაღად.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც საერთაშორისო გამოცდილება და ქართული პრაქტიკაც აჩვენებს, სტრატკომების გამართული მუშაობის აუცილებელ წინაპირობას მმართველი ელიტის პოლიტიკური ნება წარმოადგენს. შესაძლოა, ინსტიტუციურად მისი მოწყობის სხვადასხვა ფორმაზე მსჯელობისას, გვეფიქრა მთავრობისგან დამოუკიდებელ და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულების მქონე ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზეც, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ამ პროცესში აუცილებელია სახელმწიფო მმართველობის თითქმის ყველა რგოლის ჩართულობა, მხოლოდ ერთი, თუნდაც ფორმალურად დამოუკიდებელი, ბიუროკრატიული ინსტიტუტი ვერ შეცვლის საერთო სურათს. ამდენად, ინსტიტუციური თუ პრაქტიკული რეკომენდაციების შესრულების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს ქვეყნის მმართველი გუნდის პოლიტიკური ნება,

დაუპირისპირდეს მტრული სახელმწიფოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ საინფორმაციო ოპერაციებს. ამგვარი ნების არარსებობის შემთხვევაში კი, ნებისმიერი რეკომენდაცია, რასაც უნდა მიემართებოდეს იგი, აზრს კარგავს.

მთავარი ნაბიჯი, რომელიც სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით სახელმწიფომ უნდა გადადგას, საზოგადოების ჩართულობის გაზრდაა. დასავლური პრაქტიკა აჩვენებს, რომ საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, სტრატეგიული კომუნიკაციების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. საზოგადოების ჩართულობის ზრდისა და ზოგადად, ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა:

- **გამჭვირვალობა და საზოგადოების ჩართულობა სტრატეგიების შემუშავების ეტაპზე** - როგორც აღვნიშნეთ, 2023 წლის ბოლოს მთავრობამ საკომუნიკაციო სტრატეგია დაამტკიცა. განცხადების თანახმად, საკომუნიკაციო სტრატეგიის მომზადებაში, სხვადასხვა უწყებასთან ერთად, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები მონაწილეობდნენ. სინამდვილეში, აღნიშნული დოკუმენტის მომზადებაში ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობის უზრუნველყოფაა აუცილებელი. აღნიშნული დოკუმენტი პროაქტიულად უნდა გასაჯაროებულიყო, ხოლო მის მომზადებაში შესაბამისი გამოცდილების მქონე სუბიექტებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. მომავალში, ამგვარი სტრატეგიების შემუშავებისა და მათი რეალობაში იმპლემენტაციის ეტაპზე, აუცილებელია საზოგადოებრივი მონაწილეობის უზრუნველყოფა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი განცხადების შესაბამისად, ამ მიმართულებით მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაციები მზადყოფნას გამოთქვამენ, ითანამშრომლონ სახელმწიფო სტრუქტურებთან. ამდენად, მნიშვნელოვანია, შეიქმნას სამუშაო ფორმატი, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ანალიტიკოსების, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა.

- **სტრატკომების საქმიანობის გამჭვირვალობა და ანტიდასავლურ პროპაგანდაში ჩართული აქტორების საჯარო მხილება** - საჭიროა, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები და მთავრობის სტრატკო-

მი პროაქტიულად აქვეყნებდნენ საკუთარი საქმიანობის ანგარიშებს. როგორც კვლევამ აჩვენა, სტრატკომების უმრავლესობას საერთოდ არ აქვთ ცალკე ანგარიშის მომზადებისა და გამოქვეყნების პრაქტიკა. გარდა ამისა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, იკვეთება ტენდენცია, როცა სამთავრობო სტრატეგიებში პირდაპირ აღარ სახელდება რუსეთი, როგორც ანტიდასავლური დეზინფორმაციის მთავარი წყარო. ეს, ცალსახად, არასწორი მიდგომაა, რადგან აუცილებელია, ყველა სამთავრობო უწყებამ, მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა (კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის გათვალისწინებით), ღიად ისაუბროს მტრული ქვეყნის პროპაგანდაზე, ასევე, იმ ჯგუფებსა თუ პირებზე, რომლებიც საქართველოში ანტიდასავლურ დეზინფორმაციას ავრცელებენ. აგრეთვე, მნიშვნელოვანია მათ მიერ ამ პროცესში გამოყენებული ტაქტიკის გამოაშკარავებაც, რათა საზოგადოებას შეექმნას ნათელი წარმოდგენა, თუ ვინ დგას ამა თუ იმ ანტიდასავლური გზავნილის უკან.

- **მტრული საინფორმაციო ოპერაციების კონტრზომების შესახებ საზოგადოების ინფორმირება** - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საკუთარ ყოველწლიურ ანგარიშებში მუდმივად საუბრობს ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს მიერ წარმოებულ საინფორმაციო ოპერაციებზე, რომელთა მიზანიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის დაზიანებაა. ამგვარ პირობებში, მნიშვნელოვანია სუს-ი უზრუნველყოფდეს იმ კონტრნაბიჯების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომელთა გასაჯაროებაც არ დააზიანებს გამოძიების ინტერესებს. სუს-მა და სხვა სამართალდამცავმა უწყებებმა ამგვარი საინფორმაციო ოპერაციების წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევა და მათ შესახებ ინფორმაციის საჯაროობის (შესაძლებლობის ფარგლებში) უზრუნველყოფა განსაკუთრებით უნდა გააძლიერონ არჩევნების კონტექსტში.

- **სახელმწიფოს სტრატეგიული კომუნიკაციისა და თანამდებობის პირების ე.წ. პიარის გამიჯვნა** - როგორც ექსპერტებთან საუბარი, ისე არსებული რეალობის შესწავლა აჩვენებს, რომ სტრატეგიული კომუნიკაციების შინაარსი სახელმწიფოს გააზრებული არ აქვს. მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს სტრატეგიული კომუნიკაცია გაიმიჯნოს პარტიული თუ სამთავრობო კომუნიკაციის იმ ნაწილისგან, რომელიც კონკრეტული პოლიტიკოსის/

პარტიის ყოველდღიურ აქტივობებს ეხება. ამასთან, სტრატეგიული კომუ-ნიკაციების დეპარტამენტებში დასაქმებული საჯარო მოხელეები უნდა მოქმედებდნენ, როგორც საჯარო მოხელეები და მათ მიზანს სახელმწიფოს პოლიტიკის საკომუნიკაციო მხარდაჭერა უნდა წარმოადგენდეს და არ უნდა უწევდეთ პოლიტიკოსის თუ პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების მოვალეობების შეთავსება.

- **წინასწარ განჭვრეტადი საფრთხეების გამოვლენა და პროაქტიური კომუნიკაცია** - ანტიდასავლური დეზინფორმაციის შესახებ პარლამენტის მოკვლევის ჯგუფის მიერ 2018 წელს მომზადებული ანგარიში მოძველებულია. ანგარიშის მომზადების შემდგომ, კორონავირუსის პანდემიამ და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა სახელმწიფო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. დეზინფორმაციასთან ბრძოლის კონტექსტში, ამ ახალი საფრთხეების შესწავლა და დოკუმენტის გაახლებაა საჭირო. ამდენად, მნიშვნელოვანია, პარლამენტმა საკომიტეტო დონეზე უზრუნველყოს მოკვლევის მიმართულებით სამუშაო ჯგუფის მიერ ახალი ანგარიშის მომზადება და ამ პროცესში შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე ორგანიზაციებისა და მკვლევრების ჩართულობა. ამასთან, ზოგადად, აუცილებელია განჭვრეტადი საფრთხეების წინასწარ გამოვლენა და მათ შესახებ პროაქტიული კომუნიკაცია, რათა საქართველოს მოქალაქეები მომზადებული დახვდნენ სხვადასხვა ტიპის კრიზისულ სიტუაციას.

- **ანტიდასავლური გზავნილების გავრცელების შეწყვეტა და მსგავსი პრაქტიკის პრევენცია ხელისუფლების ყველა დონეზე** - მნიშვნელოვანია, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის პარალელურად მიღებული ცხრა გადასადგმელი ნაბიჯის კონტექსტში, დეზინფორმაციასთან ბრძოლ-ის გაძლიერებისთვის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. საჭიროა სახელმწიფოს სტრატეგიული კომუნიკაციები და გაჟღერებული მესიჯები იყოს ერთმანეთთან თანხვედრილი, არ ქმნიდეს ურთიერთგამომრიც-ხავ შთაბეჭდილებებს და არ უწყობდეს ხელს ოფიციალური მოსკოვისა თუ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმების ნარატივის გავრცელებას. კერძოდ, საჭიროა, სახელმწიფო დაუპირის-პირდეს ნარატივს იმის შესახებ, თითქოს დასავლეთი საქართველოში

ომის გაჩაღების და ე.წ. „მეორე ფრონტის“ მომხრეა. ამგვარ ნარატივს ხშირად არაორაზროვნად მხარს უჭერენ სახელისუფლებო პარტია თუ მის მიერ მხარდაჭერილი ჯგუფები, რაც აზიანებს სახელმწიფოს პიზიციებს საერთაშორისო არენაზე. ამისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი კომუნიკაციების გამართვა და სამუშაო ფორმატის შექმნა, რაც საშუალებას მისცემს სხვადასხვა უწყების სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებს, ჰქონდეთ საერთო მესიჯი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და გამოირიცხოს სახელმწიფოს პოლიტიკის დამაზიანებელი კომუნიკაციების გავრცელება. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრატეგიული კომუნიკაციების, როგორც საჯარო საქმის, გააზრება.

- **მთავრობის სტრატკომის არაკეთილსინდისიერად გამოყენების ფაქტის გამოძიება და სამომავლო პრევენცია** - მთავრობის ახლანდელი სტრატეგიული კომუნიკაცია, ნაცვლად საზოგადოების ჩართულობისა, მიმართულია ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიისა თუ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების დისკრედიტაციაზე. Meta-ს 2023 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მთავრობის სტრატკომი დაკავშირებული იყო იმ ქსელთან, რომელიც კოორდინირებულად, არაავთენტური ანგარიშების გამოყენებით, ახდენდა ე.წ. „რუსული კანონის“ წინააღმდეგ პროტესტში ჩართული ორგანიზაციებისა და ინდივიდების დისკრედიტაციას, ცდილობდა საზოგადოების მანიპულირებას. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გამოიძიოს სტრატეგიული კომუნიკაციების რესურსების ამგვარი, საკუთარი დებულების საწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოყენების ფაქტი და დააყენოს შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

- **სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი საკანონმდებლო ინიციატივების უარყოფა** - მნიშვნელოვანია, რომ დეზინფორმაციასთან ბრძოლის კონტექსტში, განსაკუთრებით, ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ცხრა ნაბიჯის კონტექსტში, არ შეიძლება იმგვარი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად. ე.წ. „რუსული კანონი“ თუ ინიციატივები დეზინფორმაციის რეგულირების

შესახებ, სხვადსხვა დროს, სახელისუფლებო პარტიისა თუ მათთან აფილირებული ჯგუფების მხრიდან, არაერთხელ გაჟღერებულა. მსგავსი რეგულაციების მიღება კი შესაძლოა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში გადაიზარდოს, მიუხედავად ერთი შეხედვით არსებული ე.წ. „კეთილი მიზნებისა". ეს საყურადღებოა იმ კონტექსტში, რომ მედიის სფეროს წამომადგენლებთან ყოველგვარი წინმსწრები კონსულტაციის გარეშე, საქართველოს პარლამენტში უკვე დაამტკიცეს სამაუწყებლო მედიაში სიძულვილის ენისა და უხამსობის რეგულირების ახალი მოდელი, რომელმაც კომუნიკაციების კომისიას მედიის შინაარსში ჩარევის უფლებამოსილება მისცა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება ხშირად მხოლოდ გარეგნულად ემსახურება ევროპული პრაქტიკის საქართველოში დანერგვის მიზანს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკანონმდებლო რეგულირებამდე, დაინერგებოდა ის დასავლური პრაქტიკა, რომელიც, ძირითადად, პრევენციას, პოზიტიური ნარატივების გავრცელებისა და ფაქტების გადამოწმების პოპულარიზებასა თუ სხვა დასავლურ გამოცდილებებს ემყარება.

სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინაცია - სტრატკომების სტრუქტურული მოწყობის შესახებ ნებისმიერი რეკომენდაცია იმ დათქმას ემყარება, რომ ხელისუფლებას აქვს პოლიტიკური ნება, ებრძოლოს მტრული სახელმწიფოს მიერ საქართველოში გავრცელებულ ანტიდასავლურ დეზინფორმაციას. ამასთან, აუცილებელია ხელისუფლების სხვადასხვა შტომ შეძლოს კოორდინირება და დეზინფორმაციასთან ბრძოლაში ერთიანი მიდგომით მოქმედება. ამგვარ პირობებში, სტრუქტურისა და კოორდინაციის ნაწილში, მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა მთავრობის სტრატკომს, სხვადასხვა სამინისტროს სტრატკომებსა და სუს-ს შორის ერთობლივი სამუშაო ფორმატის შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდის, გონივრული პერიოდულობით, მიმდინარე გამოწვევებისა და მასზე რეაგირების გზების იდენტიფიცირებას. ამასთან, ამ პროცესში აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართვაც, რადგან ლოკალურ დონეზე სწორედ ისინი შეიძლება გახდნენ სწორი გზავნილების საუკეთესო გამავრცელებლები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ამგვარ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიული კომუნიკაციებისა და ანტიდასავლური დეზინფორმაციის საკითხზე მომუშავე მკვლევრებმა თუ ორგანიზაციებმა.

- **კომუნიკაციისა და ქმედებების თანხვედრა** - როგორც დასავლური პრაქტიკა აჩვენებს, სტრატეგიული კომუნიკაციები შეუძლებელია მხოლოდ კომუნიკაციების დონეზე ხდებოდეს და საჭიროა თითოეული მესიჯი მხარდაჭერილი იყოს რეალური პოლიტიკითა და თანხმვედრი ნაბიჯებით.

- **მედიასთან თანამშრომლობა** - სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო უნდა იყენებდეს თავის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას. საჭიროა ამ პროცესში მედიისა და, პირველ რიგში, საზოგადოებრივი მაუწყებლის როლის ზრდა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დაუშვებელია საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელისუფლებამ აღიქვას, როგორც სახელმწიფოს გაგრძელება და რაიმე ფორმით დაავალოს სტრატეგიული კომუნიკაციების პროცესში ჩართვა. საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა მონაწილეობდეს იმ სამუშაო შეხვედრებში, რომლებსაც სტრატკომის დეპარტამენტები სამოქალაქო საზოგადოებასთან და მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან გამართავენ.

- **ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა** - სტრატეგიულ კომუნიკაციებში სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს, მიიტანოს სათქმელი ყველა მოქალაქემდე. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს რუსულ პროპაგანდასთან ხელმისაწვდომ ენაზე დაპირისპირება მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელიც ახალ ამბებს თუ სხვა ტიპის ინფორმაციას ქართულ ენაზე ვერ ეცნობა. ამისათვის, სახელმწიფომ უნდა იმუშაოს საქართველოს სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან, რუსულენოვან და სხვა ენებზე მოსაუბრე მოქალაქეებთან ინფორმაციის მიტანაზე.

- **მტრული დეზინფორმაციის შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ზრდა** - სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს ისეთი ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობები და მათი მხარდაჭერა, რომელთა მიზანსაც მოქალაქეთა მედიაწიგნიერებისა და საინფორმაციო მედეგობის გაძლიერება წარმოადგენს. დასავლური პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ პროცესში საშუალო სკოლებისა და უნივერსიტეტების შესაძლებლობების გამოყენების გარდა, შესაძლებელია სხვა ინოვაციური მეთოდების გამოყენებაც. ინფორმაციული მედეგობა და მედიაწიგნიერი მოქალაქე

სწორედ მთლიანი საზოგადოების პრინციპიდან გამომდინარეობს და ამ მიზნის მისაღწევად, სხვადასხვა სტრატეგიისა თუ ნაბიჯის შემუშავებისას, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს აკადემიური სფეროსა და სამოქალაქო ორგანიზაციების გამოცდილება, მათ შორის, არაფორმალური განათლების კუთხით.

- **საარჩევნო პროცესის დაცვა მტრული საინფორმაციო ჩარევებისგან** - დასავლური პრაქტიკა აჩვენებს, რომ დეზინფორმაციასთან და უცხოურ საინფორმაციო ოპერაციებთან ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არჩევნების პერიოდში. საარჩევნო პროცესისას, საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა დემოკრატიის დასაცავად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. 2024 წელს, წინასაარჩევნო პერიოდში (ასევე, ნებისმიერ მომდევნო არჩევნებში), საარჩევნო პროცესის საინფორმაციო უსაფრთხოება სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტების მთავარ ამოცანად უნდა განისაზღვროს. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს ცესკო-სა და უწყებრივი თანამშრომლობის კომპონენტს და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების, განსაკუთრებით, არჩევნების თემატიკაზე ფოკუსირებული და ფაქტების გადამმოწმებელი ორგანიზაციების სათანადო ჩართულობა წინასაარჩევნო, საარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდებში.

- **საერთაშორისო თანამშრომლობა** - სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს თანამშრომლობა NATO-სა და ევროკავშირის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებთან, მათ შორის, NATO-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის გაძლიერებით. ამგვარი თანამშრომლობა, ასევე, უნდა გულისხმობდეს დასავლელ პარტნიორებთან საერთო მესიჯებზე შეთანხმებას და ერთიანი პოზიციების გაჟღერებას. აღნიშნული, გარდა ანტიდასავლურ პროპაგანდასთან და რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლის კონტექსტისა, საჭიროა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების შემდგომ საქართველოსთვის წარდგენილი ცხრა ახალი ნაბიჯის კონტექსტშიც, რომლის მიხედვითაც, საქართველოსა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური პოზიციების დაახლოება უნდა მოხდეს.